დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ჯეიბიეს სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **მაკა ტუკვაძე**
წევრები:
თამარ მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)
ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ჯეიბიეს სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	405805543

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის ქ. N5;
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://jbsacademy.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@jbsacademy.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	511 70 33 44

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 მაისის MES 7 26 0000592648 ბრძანების საფუძველზე
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25 და 26 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	სასწავლო მიზნებისთვის

	პროგრამის სახელწოდება	**პროგრამის საფეხური**	**პროგრამის განხორციელების ენა**	**გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის ქ. N5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 მაისის № MES 7 26 0000592648 ბრძანების საფუძველზე, შპს „ჯეიბიეს სკოლაში“ 2026 წლის 25-26 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის რამდენჯერმე გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებში განისაზღვრა შეფასების მიდგომები, შეთანხმდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გასაუბრებების განრიგი და დაზუსტდა დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა. წარმოდგენილი მასალების პირველადი ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებიდან დამატებით გამოითხოვა რიგი დოკუმენტები.

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრები შეფასების პროცესში მონაწილეობდნენ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით.

ვიზიტი წარიმართა საქმიან, თანამშრომლობით და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა დეტალურად გაცნობოდა როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ასევე სკოლის წარმომადგენელთა ხედვას, დაგეგმილ საგანმანათლებლო მოდელსა და მისი განხორციელების მექანიზმებს.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა გასაუბრებები დაწესებულების დამფუძნებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, მასწავლებლებთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან. საგნობრივი ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულებების წარმომადგენლებს, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კურიკულუმების შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებს.

შეფასების პერიოდში სკოლის შენობაში კვლავ მიმდინარეობდა სარემონტო და მოსაწყობი სამუშაოები. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს მოსწავლეთა ფიზიკური

უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება დამატებითი სამუშაოების განხორციელების შესახებ, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების სისტემების სრულყოფის, შენობის აივნის უსაფრთხოების მიზნით სრულად შემინვისა და სასწავლო სივრცეების თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების შესაბამისად ფუნქციურ ზონებად მოწყობის თაობაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების განხორციელების მომენტისთვის შპს „ჯეიბიეს სკოლა“ ჯერ არ ფუნქციონირებს და არ დაწყებულა სასწავლო პროცესი, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო კონცეფცია, ორგანიზაციული ხედვა და დაგეგმილი მართვის მოდელი წარმოადგენს გასაზიარებელი პრაქტიკის პოტენციალის მქონე მიდგომას.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა საგანმანათლებლო პროცესს აგებს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების საფუძველზე, რომელიც აერთიანებს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას, ინდივიდუალურ მენტორინგს, კეთილდღეობის (Wellbeing) პროგრამას, ჯანსაღი ცხოვრების წესის კულტურის დამკვიდრებასა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო მიდგომებს.

ამავდროულად, სკოლის განვითარების ხედვა ადამიანური რესურსების მართვასაც განიხილავს იმავე ფილოსოფიის ნაწილად. ინტერვიუს პროცესში სკოლის დამფუძნებლებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნაზე, რომელიც

უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიულ კეთილდღეობას, სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის დაცვას, პროფესიული გადაწვის პრევენციასა და სამუშაო დროის ეფექტიან ორგანიზებას. სკოლის ხედვით, დასვენებული, მოტივირებული და პროფესიულად მხარდაჭერილი მასწავლებელი წარმოადგენს მოსწავლის კეთილდღეობისა და ხარისხიანი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

მოსწავლის კეთილდღეობის, ინდივიდუალური განვითარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, მენტორინგისა და მასწავლებლის პროფესიული კეთილდღეობის ერთიან საგანმანათლებლო მოდელად გააზრება ქმნის თანამედროვე, სისტემურ და ინოვაციურ მიდგომას, რომლის პრაქტიკული განხორციელება, სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, შესაძლოა საინტერესო გამოცდილებად იქცეს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაც.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: ---------- 120	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.)	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N. 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის 31 მარტამდე, უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმება.
ინდიკატორი	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

N. 3.5.1.3	სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნების განთავსება (თაროებზე დალაგება)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შპს „ჯეიბიეს სკოლის“ მიერ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოადგინა როგორც წერილობითი განმარტებები, ასევე შეუსაბამობების აღმოფხვრისა და შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის: შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციისათვის ვარგისობის შესახებ აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს დასკვნა, სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენისა და მიღების დოკუმენტები, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მოწყობის მტკიცებულებები და განახლებული ფოტომასალა. სკოლის არგუმენტირებული პოზიციით ასევე დასტურდება, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ განხორციელდა ინტენსიური ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური სამუშაოები.
წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას იმ ნაწილში, სადაც წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებების ცვლილებას და შესაბამისი შეუსაბამობების აღმოფხვრას. შესაბამისად, საბოლოო დასკვნაში ცალკეული ინდიკატორების (N3.5.1.4; N2.2.2.3; N3.4.1.1; N3.4.1.2; N3.4.1.5; N3.5.1.1) შეფასება დაკორექტირდება არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოდგენილი ახალი

მტკიცებულებების გათვალისწინებით და გადავიდა სრულ შესაბამისობაში. ამასთან, იმ საკითხებთან მიმართებით (3.4.1.3 და 3.5.1.3), რომელთა შესრულება დამოკიდებულია მესამე მხარის მოქმედებაზე ან შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურის დასრულებაზე, ექსპერტთა ჯგუფი ინარჩუნებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას და შეფასებას ახორციელებს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებებისა და ვადების გათვალისწინებით.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ სკოლამ რეაგირება მოახდინა არა მხოლოდ სტანდარტებთან შესაბამისობის სავალდებულო რეკომენდაციებზე, არამედ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული არასავალდებულო ხასიათის რჩევებიც და შესაბამის მიმართულებებში განახორციელა დოკუმენტაციისა და პროცესების დახვეწა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლამ ექსპერტთა შეფასება გამოიყენა როგორც ინსტიტუციური განვითარების რესურსი და დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციებსა და რჩევებს მიუდგა არა ფორმალურად, არამედ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მიდგომით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში შპს ჯეიბიეს სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფია, რომელიც მოიცავს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, ასევე სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებს, რომლებშიც განსაზღვრულია დაწესებულების საგანმანათლებლო კონცეფცია და განვითარების ძირითადი მიმართულებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე და მოიცავს მისი ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტებში ასახულია პიროვნული განვითარების, პასუხისმგებლობის, დამოუკიდებელი აზროვნების, თვითმართვის, სამართლიანობისა და მოქალაქეობრივი ღირებულებების განვითარების პრინციპები, რაც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ხელმძღვანელობასა და პერსონალს ერთიანად აქვს გააზრებული დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები. გასაუბრების პროცესში სკოლის წარმომადგენლებმა თანმიმდევრულად განმარტეს, თუ როგორ აისახება აღნიშნული პრინციპები სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, მოსწავლის მხარდაჭერის სისტემაში, მენტორინგის მოდელსა და კეთილდღეობის (Wellbeing) პროგრამაში.

ინტერვიუების პროცესში ასევე დადასტურდა, რომ სკოლის მიერ ბილ ბედვიკის (Bill Beswick) პრინციპების ინტეგრირება გააზრებულია არა როგორც დამოუკიდებელი კონცეფცია, არამედ როგორც ეროვნული მიზნების განხორციელების ხელშემწყობი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია პასუხისმგებლიანი, დამოუკიდებელი, ემოციურად მდგრადი და ღირებულებებზე დაფუძნებული პიროვნების განვითარებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის მისია და ხედვა მიმართულია ისეთი მოსწავლის ფორმირებისკენ, რომელიც გამოირჩევა დამოუკიდებელი აზროვნებით, პასუხისმგებლობით, თვითმართვის უნარითა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების უნარით, რაც თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

1.1.1.1 ინდიკატორია მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში წარმოადგენილი სკოლის ფილოსოფია, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ,,კეთილდღეობის პროგრამის" კონცეფცია და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავს სკოლის საგანმანათლებლო მოდელს და განვითარების ძირითად მიმართულებებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე და ხაზს უსვამს ინდივიდუალური პოტენციალის გამოვლენას, ემოციური ინტელექტის, თვითმართვის, პასუხისმგებლობისა და თვითგამოხატვის უნარების განვითარებას. წარმოდგენილი დოკუმენტები სკოლას განიხილავს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის მიღების, არამედ პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარების სივრცედ.

აღნიშნულს დამატებით ადასტურებს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კეთილდღეობის პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას, კეთილდღეობის კომპონენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას, პერსონალის პროფესიულ განვითარებას, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროგრამების განხორციელებას, მშობელთა ჩართულობის, მოსწავლეთა მონაწილეობის, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების განვითარებას. სტრატეგიული გეგმა ასევე მოიცავს უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის, სასკოლო საზოგადოების გაძლიერებისა და სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფას, რაც ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ როლს აღიქვამს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ხელმძღვანელობასა და პერსონალს ერთიანად აქვს გააზრებული დაწესებულების როლი და საგანმანათლებლო ფილოსოფია. სკოლის წარმომადგენლებმა თანმიმდევრულად განმარტეს, რომ უსაფრთხო გარემოს განიხილავენ არა მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოების, არამედ მოსწავლის ემოციური კეთილდღეობის, ინდივიდუალური მხარდაჭერის, მენტორინგის, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისა და ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და ღირებულებებზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის შექმნის კონტექსტში. ინტერვიუების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ ველბიინგის პროგრამა, მენტორინგის სისტემა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა აღიქმება სკოლის საგანმანათლებლო მოდელის ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებად და არა დამოუკიდებელ ინიციატივებად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა, დოკუმენტაციის შინაარსი და ინტერვიუების პროცესში გამოვლენილი ერთიანი მიდგომა ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი როლი, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ფორმირების პროცესში, რაც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს.

1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში შპს ჯეიბიეს სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და განხილვის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის სამუშაო ჯგუფის საქმიანობის, პედაგოგიური საბჭოს განხილვების, მასწავლებელთა გამოკითხვისა და უკუკავშირის მექანიზმების ამსახველი მასალები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესი განხორციელდა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით პროცესი ეფუძნებოდა გარემოს ანალიზს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, უკუკავშირის მიღებასა და განვითარების პრიორიტეტების ერთობლივ განსაზღვრას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ურთიერთდაკავშირებული მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული მიზნები და განვითარების მიმართულებები. სკოლის ფილოსოფიის ფორმირების პროცესში გამოყენებული იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმი. მასწავლებელთა კითხვარი ითვალისწინებდა მისიისა და ხედვის პროექტების გაცნობას, მათ შეფასებასა და რეკომენდაციების წარმოდგენას, ასევე სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობას. გარდა ამისა, მისიისა და ხედვის პროექტები განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ, სადაც საბჭოს წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ხელმძღვანელობასა და პედაგოგიურ პერსონალს აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში. რესპონდენტებმა თანმიმდევრულად აღწერეს სამუშაო შეხვედრების, განხილვებისა და უკუკავშირის მექანიზმების გამოყენება, განმარტეს, თუ როგორ აისახა მათი მოსაზრებები სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფიისა და განვითარების ხედვის საბოლოო ფორმირებაში. ინტერვიუების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროცესი არ ატარებდა ფორმალურ ხასიათს, არამედ ეფუძნებოდა ერთობლივ მსჯელობასა და საერთო ხედვის ჩამოყალიბებას.

გასათვალიწინებელია, რომ სკოლა წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რის გამოც მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი შემუშავების ეტაპზე ობიექტურად შეუძლებელი იყო სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით მოსწავლეებისა და მშობლების მონაწილეობა. ამასთან, წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით და ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დოკუმენტების პერიოდული გადახედვის მექანიზმი, რომელიც სკოლის ფუნქციონირების დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის აქტიურ ჩართულობასა და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობა არსებული ორგანიზაციული შესაძლებლობების ფარგლებში, ხოლო შემუშავებული გადახედვის მექანიზმები ქმნის საფუძველს სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

1.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში შპს ჯეიბიეს სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც ასახავს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობის, განხილვისა და გაზიარების პროცესს. წარმოდგენილია პედაგოგიური საბჭოს სხდომის მასალები, მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები, სამუშაო შეხვედრების ოქმები და უკუკავშირის მექანიზმები, რომელთა ფარგლებში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სკოლის ფილოსოფიას, გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიეღოთ მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ინტეგრირებულია დაწესებულების ძირითად სტრატეგიულ და მარეგულირებელ დოკუმენტებში, მათ შორის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ველბიინგის პროგრამაში, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებებსა და სასკოლო საზოგადოების განვითარების ღონისძიებებში, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული პრინციპები არ წარმოადგენს მხოლოდ დეკლარირებულ ღირებულებებს, არამედ საფუძვლად უდევს სკოლის განვითარების მოდელს.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ხელმძღვანელობასა და პედაგოგიურ პერსონალს ერთიანად აქვს გაზიარებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. გასაუბრების პროცესში სხვადასხვა რესპონდენტმა საკუთარი პროფესიული როლის შესაბამისად თანმიმდევრულად განმარტა სკოლის საგანმანათლებლო ფილოსოფია, მისი ძირითადი პრინციპები და მათი განხორციელების გზები. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი განმარტებები ურთიერთთანმიმდევრული იყო და ასახავდა სკოლის საერთო ღირებულებით სისტემას, რაც მიუთითებს, რომ სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია პერსონალის მიერ და წარმოადგენს ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვის საფუძველს.

შეფასების განხორციელების მომენტისთვის სკოლა წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფი, მათ შორის მოსწავლეები და მშობლები, ჯერ სრულად არ არის ფორმირებული. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სკოლის ხელმძღვანელობისა და პერსონალის მიერ, ხოლო სკოლას შექმნილი აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნული ღირებულებების გაზიარებას სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების იმ წარმომადგენლების მიერ, რომლებიც ჩართული არიან სკოლის დაფუძნებისა და ფუნქციონირების პროცესში, ხოლო შემუშავებული მექანიზმები ქმნის საფუძველს აღნიშნული ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფში გავრცელებისა და განმტკიცებისთვის.

1.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია საჯაროდ, სკოლის ვებ/გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას, საზოგადოების ინფორმირებულობასა და დაინტერესებული მხარეებისთვის სკოლის საგანმანათლებლო მოდელის გაცნობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის წარმომადგენლები მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობას განიხილავენ, როგორც ღია მმართველობისა და ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელოვან მექანიზმს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ შეფასების განხორციელების პერიოდში სკოლის შენობაში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სარემონტო და მოსაწყობი სამუშაოები, რის გამოც სკოლის სივრცეში მისიის, ხედვისა და ღირებულებების ვიზუალური განთავსება ამ ეტაპზე არ ფიქსირდება. ამასთან, სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულებისთანავე აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება სკოლის საერთო სივრცეებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის მიერ უზრუნველყოფილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობა ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით, ხოლო სკოლის სივრცეში მათი განთავსების უზრუნველყოფა დაგეგმილია ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულებისთანავე. აღნიშნულიდან გამომდინარე,

1.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სამეწარმეო რეესტრიის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულება რეგისტრირებულია სახელწოდებით **„შპს ჯეიბიეს სკოლა“**. სახელწოდებაში გამოყენებული ტერმინი „სკოლა“ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და იდენტიფიცირებს მას, როგორც სკოლის ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. შესაბამისად, **1.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფია
- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/12 -მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოდოგიის დამტკიცების შესახებ
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/25 -მისია, ხედვა, ღირებულებების დამტკიცების შესახებ
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/17 -მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- მასწავლებლის კითხვარი
- გამოკითხვის შედეგეგების ანალიზი
- სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებების) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში შპს ჯეიბიეს სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ძირითად პრინციპებს, მათ შორის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიური დოკუმენტი აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, მტკიცებულებების გამოყენების პრინციპებსა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს გარემოს ანალიზს, SWOT-ანალიზს, რისკების შეფასებას, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების გათვალისწინებას, სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრასა და მათ საფუძველზე სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და სამოქმედო აქტივობების დაგეგმვას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სტრატეგიული დოკუმენტები შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის წარმომადგენლებმა დეტალურად განმარტეს სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმები, მიღებული უკუკავშირის გამოყენების მექანიზმები და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლის ხელმძღვანელობასა და პერსონალს გააზრებული აქვთ სტრატეგიული განვითარების მიმართულებები და მათი კავშირი სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან.

ინტერვიუების პროცესში ასევე დადასტურდა, რომ სკოლა სტრატეგიულ დაგეგმვას განიხილავს როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც ითვალისწინებს შედეგების პერიოდულ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში გეგმების გადახედვასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე მათ განახლებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის სისტემურობას, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას, აგრეთვე სკოლის მისიის, ხედვის, სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმების ურთიერთშეთანხმებულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე,

1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში შპს „ჯეიბიეს სკოლამ“ წარმოადგინა 2026–2033 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N2 და სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასახავს სტრატეგიული დაგეგმვის, განხილვისა და დამტკიცების სრულ ციკლს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებულია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და ეფუძნება SWOT ანალიზს, სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული მიზნები ლოგიკურად გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან და ორიენტირებულია როგორც ინსტიტუციურ განვითარებაზე, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე, კეთილდღეობის (Wellbeing) კონცეფციის, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პროგრამების განვითარებაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სასკოლო საზოგადოების გაძლიერებაზე.

სტრატეგიული გეგმის ანალიზით ასევე დადგინდა, რომ იგი წარმოდგენილია არა მხოლოდ მიზნების დეკლარირების, არამედ მათი განხორციელების ეტაპობრივი მოდელის სახით. თითოეული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, ხოლო მათი განხორციელება გაწერილია შვიდწლიან ციკლზე კონკრეტული ეტაპების მიხედვით (დაგეგმვა, პილოტირება, დანერგვა, გაფართოება, შეფასება, აუდიტი და განახლება), რაც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის თანმიმდევრულობას, ციკლურობასა და პროგრესის შეფასების შესაძლებლობას.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ასევე დადასტურდა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის განხილვა მოხდა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფში, შემდგომ — პედაგოგიურ საბჭოზე, ხოლო საბოლოოდ დამტკიცდა სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც ადასტურებს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი განხორციელდა სკოლის შიდა მმართველობის დადგენილი პროცედურების შესაბამისად და გადაწყვეტილება მიღებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის დანიშნულება, მისი კავშირი სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან და თითოეული სტრატეგიული მიზნის ეტაპობრივი განხორციელების მნიშვნელობა.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას, ვინაიდან იგი შემუშავებულია შვიდწლიანი ციკლის პრინციპის საფუძველზე, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, შეიცავს მათთან თავსებად სტრატეგიულ მიზნებს, შესაბამის ამოცანებს და უზრუნველყოფს სკოლის განვითარების თანმიმდევრულ დაგეგმვასა და განხორციელებას.

1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში შპს „ჯეიბიეს სკოლამ“ წარმოადგინა 2026–2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N3, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N3 და სკოლის დირექტორის ბრძანება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების

შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების თანმიმდევრულ პროცესს, რომელიც განხორციელდა სკოლის შიდა მმართველობის დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე და წარმოადგენს მისი განხორციელების პირველი ეტაპის დოკუმენტს.
დოკუმენტაციის ანალიზით ასევე დადგინდა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი თავდაპირველად განიხილა სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა, შემდგომ – პედაგოგიურმა საბჭომ, რომელმაც მხარი დაუჭირა მის დამტკიცებას, ხოლო საბოლოოდ იგი დამტკიცდა სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც ადასტურებს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია უფლებამოსილი პირის მიერ და შეესაბამება სკოლის შიდა მმართველობის პროცედურებს.
ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დანიშნულება, როგორც შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების ინსტრუმენტის. ამასთან, სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განახლების პროცესში გამოყენებული იქნება ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები, რაც გათვალისწინებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლა წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რის გამოც შეფასების განხორციელების ეტაპზე არ არსებობს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა პირველი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე, ხოლო სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განახლებას ყოველწლიური თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნულის გათვალისწინებით,

1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში შპს „ჯეიბიეს სკოლამ“ წარმოადგინა 2026–2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ანალიზით დადგინდა, რომ იგი სტრუქტურულად უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების განხორციელების ეფექტიან დაგეგმვას.

სამოქმედო გეგმაში თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია ამოცანები, კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები, საჭირო რესურსები და შედეგების შეფასების ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს

სტრატეგიული მიზნების ეტაპობრივ და სისტემურ განხორციელებას. წარმოდგენილი ინფორმაცია ქმნის შესაძლებლობას, განხორციელდეს თითოეული აქტივობის შესრულების მონიტორინგი, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტირება.

დოკუმენტაციის ანალიზით ასევე დადგინდა, რომ დაგეგმილი აქტივობები ურთიერთშეთანხმებულია, შეესაბამება სკოლის განვითარების ეტაპს და განსაზღვრული ვადები რეალისტურია. სამოქმედო გეგმაში მითითებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები თანხვედრაშია სკოლის დაგეგმილ შესაძლებლობებთან და უზრუნველყოფს განსაზღვრული აქტივობების განხორციელების რეალისტურობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაციასა და პასუხისმგებელ პირებს გააზრებული აქვთ თითოეული აქტივობის შინაარსი, პასუხისმგებლობების განაწილების პრინციპები, შესრულების ინდიკატორები და მონიტორინგის მექანიზმები. გასაუბრების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმა სკოლაში განიხილება როგორც პრაქტიკული მართვის ინსტრუმენტი და არა მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

1.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/49- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/51- 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N2 და N3
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები N2 და N3
- გარემოს SWOT ანალიზი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის, როგორც უფლებამოსილი პირის მიერ და განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიან წესს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, განსაზღვრულია მონიტორინგის მიზანი, პასუხისმგებელი პირები, შეფასების წყაროები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, მონიტორინგის პერიოდულობა, ანგარიშგების პროცედურები, შესრულების სტატუსების განსაზღვრის წესი და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვის შესაძლებლობა. აღნიშნული უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების სისტემურ შეფასებასა და უწყვეტ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მართვის პროცესს.

მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს შესრულების ანგარიშების მომზადებას, მათ განხილვას სამუშაო ჯგუფის მიერ, შედეგების საჯაროობასა და მონიტორინგის შედეგების გამოყენებას მომდევნო დაგეგმვის პროცესში, რაც ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურ მოდელს და ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი, პასუხისმგებლობების განაწილება და მონიტორინგის შედეგების გამოყენება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ქმნის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შესრულების შეფასებას, ანგარიშვალდებულებას, შედეგების ანალიზსა და უწყვეტ გაუმჯობესებას. შესაბამისად,

1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგის მიზნებს, პასუხისმგებელ პირებს, მონაცემთა შეგროვების წყაროებსა და მეთოდებს, ანგარიშგების ფორმებს, ასევე მონიტორინგის შედეგების საფუძველზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვის მექანიზმებს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან მტკიცებულებებსა და მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, მათ შორის გამოკითხვას, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფს, დაკვირვებას, დოკუმენტაციის შესწავლასა და სხვადასხვა ჯგუფის უკუკავშირს. მიღებული შედეგები გამოიყენება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაციას სრულად აქვს გააზრებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და მისი მნიშვნელობა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება განხორციელდება მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესით, მათ შორის სასკოლო საზოგადოების წევრებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის სისტემური გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ შეფასების განხორციელების ეტაპზე სკოლა წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და ჯერ არ დაწყებულა მისი საგანმანათლებლო საქმიანობა, რის გამოც მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების პრაქტიკაში განხორციელების შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სრულყოფილი მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გამოყენებას გადაწყვეტილებების მიღებისა და გეგმების გაუმჯობესების პროცესში.

1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების შეჯამებას, შესაბამისი ანგარიშების მომზადებასა და მათი სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ასევე განსაზღვრულია, რომ მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვის, განვითარების პრიორიტეტების დაზუსტებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით.

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის პრინციპების დაცვას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის მნიშვნელობა და საქმიანობის დაწყების შემდეგ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების განხორციელების ეტაპზე სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა და, შესაბამისად, არ არსებობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები, წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი ადასტურებს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შედეგების ანგარიშგებისა და საჯაროობის მკაფიო მექანიზმები. აღნიშნული ქმნის ინსტიტუციურ მზაობას, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანალიზისა და მათი შემდგომი განვითარების პროცესში გამოყენების მექანიზმებს.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ მეთოდოლოგია მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს განიხილავს, როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განახლების, განვითარების პრიორიტეტების დაზუსტებისა და მართვის გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.

დოკუმენტით განსაზღვრულია შედეგების ანალიზის, ანგარიშგების, რეკომენდაციების შემუშავებისა და მათი ასახვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარების უწყვეტობას და ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მართვას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მნიშვნელობა და მათი გამოყენება სკოლის სტრატეგიული და ოპერატიული განვითარების დაგეგმვის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების განხორციელების ეტაპზე სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა და, შესაბამისად, არ არსებობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების პრაქტიკული შედეგები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარების, სტრატეგიული მიზნების გადახედვისა და საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- SWOT ანალიზი
- მასწავლებლის კითხვარი
- გამოკითხვის შედეგეგების ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში შპს „ჯეიბიეს სკოლამ“ წარმოადგინა სკოლის წესდება, სკოლის დებულება, ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, ასევე ყველა საშტატო პოზიციის სამუშაო აღწერილობები, რომლებიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სკოლის მართვის მოდელი, სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციები და თანამშრომელთა ფუნქციური განაწილება.
წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს პარტნიორთა კრებას, დირექტორს, აკადემიურ დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციულ ერთეულებს, მასწავლებელთა კორპუსს, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, მათი ურთიერთდაქვემდებარება ასახულია ორგანიზაციულ სქემაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი სამუშაო აღწერილობები ადასტურებს, რომ თითოეული თანამდებობისთვის განსაზღვრულია:

- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- უშუალო დაქვემდებარება;
- უფლებამოსილება და პასუხისმგებლობის სფერო;
- ფუნქცია-მოვალეობები;
- ანგარიშვალდებულების ფარგლები

ფუნქციების განაწილება არის მკაფიო, თანმიმდევრული და შეესაბამება სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურას. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა და თანამშრომლის უფლებამოსილებები ურთიერთთავსებადია, არ იკვეთება ფუნქციათა დაუსაბუთებელი დუბლირება, ხოლო პასუხისმგებლობების განაწილება უზრუნველყოფს სკოლის ეფექტიან მართვასა და საქმიანობის კოორდინაციას.
ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია თანხვედრაში აღმოჩნდა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან. სკოლის ხელმძღვანელობამ დეტალურად განმარტა თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლი, დაქვემდებარებისა და თანამშრომლობის მექანიზმები, რაც ადასტურებს, რომ ფუნქციები არა მხოლოდ დოკუმენტურად არის განსაზღვრული, არამედ ორგანიზაციის მართვის მოდელის პრაქტიკულ საფუძველსაც წარმოადგენს.

3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა სამუშაო აღწერილობები, 2026–2033 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2026–2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესაბამისობა სკოლის განვითარების მიზნებთან და დაგეგმილ საქმიანობასთან.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობის პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია მათი კომპეტენციებისა და საქმიანობის სფეროების შესაბამისად. სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული უფლებამოსილებები თანხვედრაშია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებთან, სადაც თითოეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებად ან სტრუქტურულ ერთეულებად განსაზღვრული არიან შესაბამისი ფუნქციური კომპეტენციის მქონე თანამშრომლები. აღნიშნული უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მიზნობრივ განაწილებას, საქმიანობის კოორდინაციასა და სტრატეგიული მიზნების ეფექტიან განხორციელებას.

სამოქმედო გეგმის ანალიზი ასევე ადასტურებს, რომ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში ჩართულია სკოლის როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ხოლო პასუხისმგებლობების განაწილება ეფუძნება თანამშრომლობისა და ურთიერთკოორდინაციის პრინციპს. აღნიშნული ქმნის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის, რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევის წინაპირობას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული საკუთარი ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის ფორმები. ინტერვიუების პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება ეფუძნება გუნდურ მუშაობას, პასუხისმგებლობების ურთიერთშეთანხმებულ განაწილებასა და ეფექტიან კომუნიკაციას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ორგანიზებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ეფექტიან თანამშრომლობას, რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პასუხისმგებლობების განაწილება შესაბამისობაშია სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან და ქმნის სკოლის განვითარების მიზნების მიღწევის მყარ საფუძველს.

3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/4- სკოლის დებულების დამტკიცების შესახებ
- სამუშაო აღწერილობები
- სკოლის სტრუქტურა-ორგანოგრამა
- 2026-2027 წ. სამოქმედო გეგმა
- 2026-20233 წ.წ სტრატეგიული გეგმა
- სკოლის წესდება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამშრომელთა შერჩევის წესი, შრომის შინაგანაწესი, შრომითი ხელშეკრულებები და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ორგანიზებულია მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები ითვალისწინებს გამჭვირვალე კონკურსის, კანდიდატთა შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს, ხოლო მასწავლებელთა შერჩევისას გათვალისწინებულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით განსაზღვრული მოთხოვნები. წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს და არეგულირებს შრომითი ურთიერთობის არსებით პირობებს, მათ შორის მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, სამუშაო დროს, ანაზღაურების წესს, შვებულებასა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს.
ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

3.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესი, თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი და შრომითი ხელშეკრულებები) ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.
პრევენციული მექანიზმები მოიცავს პერსონალის საჭიროების წინასწარ განსაზღვრას, გამჭვირვალე საკონკურსო პროცედურებს, თანამშრომელთა უფლებებისა და მოვალეობების მკაფიო რეგულირებას, აგრეთვე შინაგანაწესით განსაზღვრულ ღონისძიებებს,

რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. ამასთან, პერსონალის შეფასების სისტემა ორიენტირებულია თანამშრომელთა განვითარების საჭიროებების გამოვლენაზე და შეფასების შედეგების საფუძველზე ითვალისწინებს ინდივიდუალური პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას, მათ შორის ტრენინგების, სასწავლო კურსების, მენტორინგისა და სხვა განმავითარებელი აქტივობების განხორციელებას.

ინტერვენციული მექანიზმები კი მოიცავს რეაგირების პროცედურებს, მათ შორის მასწავლებლის დროებით სკოლაში არ ყოფნის შემთხვევაში მისი საათების ჩანაცვლებას სამუშაოზე მის გამოცხადებამდე შემცვლელი მასწავლებლის სახით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას შექმნილი აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის მართვის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია როგორც შესაძლო რისკების პრევენციაზე, ისე თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ინტერვენციაზე.

3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანებები, საკონკურსო კომისიების სხდომის ოქმები, კანდიდატთა შეფასების მასალები, დასაქმებული თანამშრომლების პირადი საქმეები და შესაბამისი სამუშაო აღწერილობები.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში თითოეული პოზიციისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა, რომელშიც განსაზღვრულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები, რაც უზრუნველყოფს ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატების შერჩევას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

პერსონალის შერჩევის წესი ცალკე არეგულირებს როგორც მასწავლებელთა, ასევე სამედიცინო პერსონალის შერჩევის პროცედურებს, ხოლო სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევა ხორციელდება შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალიწინებით და დირექტორის გადაწყვეტილებით.

მასწავლებელთა შერჩევისას გათვალისწინებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრული მოთხოვნები.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ასევე ადასტურებს, რომ მასწავლებელთა ვაკანსიები ქვეყნდებოდა მასწავლებელთა ვაკანსიების ოფიციალურ პორტალზე (teacherjobs.ge) და დამატებით jobs.ge-ზე, რაც უზრუნველყოფს ვაკანსიის საჯაროობასა და შესაბამისი კადრების ფართო წრისთვის ხელმისაწვდომობას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თანამშრომელთა პირადი საქმეები და დაადგინა, რომ ყველა დასაქმებულის მიერ წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტაცია, მათ შორის „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები, ხოლო პედაგოგიური პერსონალის პირად საქმეებში ასევე დაცულია ნასამართლეობის შესახებ ცნობები, როგორც ამას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში დანერგილი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით.

3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციის სკოლის დებულების, თანამდებობრივი ინსტრუქციების, პერსონალის პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლას თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრული აქვს შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნები ასახულია სკოლის დებულებასა და თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი აკმაყოფილებს როგორც სკოლის მიერ განსაზღვრულ, ისე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათ შორის, მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო სკოლაში დასაქმებულ ექიმს გააჩნია პედიატრიის სახელმწიფო სერტიფიკატი, რაც შეესაბამება შესაბამისი პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლაში დასაქმებულია 19 მასწავლებელი, მათ შორის: 2 წამყვანი მასწავლებელი; 10 უფროსი მასწავლებელი; 4 მოწვეული მასწავლებელი; 3 მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიან სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ დამატებით საგანს JBS WellBeing. აღნიშნული საგნის მასწავლებლებისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთაც დასაქმებული პირები სრულად აკმაყოფილებენ.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა უმრავლესობას მინიჭებული აქვს კანონმდებლობით გათვალიწინებული სტატუსი (2 წამყვანი და 10 უფროსი მასწავლებელი), ხოლო იმ პირთათვის, რომლებიც ამჟამად აკმაყოფილებენ შესაბამის წინაპირობებს, (ისტორიისა და ესპანური ენის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხები, ხოლო მათემატიკის

მასწავლებელი აკმაყოფილებს მასწავლებლის მაძიებლის პროგრამაში ჩართვისთვის დადგენილ წინაპირობებს) სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, დაგეგმილია სტატუსის მინიჭების პროცესში მათი ჩართვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ მასწავლებლებთან ამჟამად გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება. მოწვეულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ საათობრივ დატვირთვას. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია კვალიფიციური ადამიანური რესურსის დაკომპლექტებასა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერაზე. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია მათი სტატუსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც მოქმედი კანონმდებლობით, ისე სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ქმნის ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელ ადამიანურ რესურსს.

3.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა შეფასების მომენტისთვის ჯერ არ ფუნქციონირებდა, მისი პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა თავიდანვე ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

აღნიშნული გამოიკვეთა სკოლის ფილოსოფიის, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში, რომელშიც ჩართული იყვნენ სკოლის დამფუძნებლები, ხელმძღვანელი პირები და პედაგოგიური პერსონალი. თანამშრომლობითი მიდგომა ასევე გამოიხატა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, საგნობრივი კურიკულუმებისა და სკოლის საერთო საგანმანათლებლო კონცეფციის შემუშავების პროცესში, სადაც სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები ერთობლივად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღებასა და სკოლის განვითარების ხედვის ჩამოყალიბებაში.

სკოლის ავტორიზაციისთვის მოსამზადებელ ეტაპზე პერსონალი აქტიურად იყო ჩართული სკოლის ინფრასტრუქტურის საგანმანათლებლო მიზნებთან შესაბამისობაში მოწყობის პროცესში. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ თანამშრომლებს აქვთ საერთო ხედვა სკოლის განვითარების პრიორიტეტებზე, იზიარებენ სკოლის ღირებულებებს და საკუთარ როლს აღიქვამენ, როგორც საერთო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული გუნდის წევრები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მონაწილეობითი მართვისა და გუნდური მუშაობის პრინციპები სკოლაში დანერგილია არა მხოლოდ როგორც სამომავლო ხედვა, არამედ როგორც სკოლის შექმნის პროცესის პრაქტიკული საფუძველი, რაც ქმნის მყარ წინაპირობას თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ისეთი ორგანიზაციული კულტურის საფუძველი, რომელიც ეფუძნება მონაწილეობით მართვას, გუნდურ მუშაობასა და თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას სკოლის განვითარების პროცესებში.

3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პერსონალის შეფასების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისების, მოტივაციის, პროფესიული განვითარების და გამოცდილების გაზიარების მექანიზმები.

შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა წახალისების ფორმები, მათ შორის მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრის გადაცემა, ფულადი პრემიის გაცემა, წარმატების საჯაროდ აღიარება/გაზიარება და სხვა წახალისების ღონისძიებები. აღნიშნული ქმნის თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და ორგანიზაციის შიგნით პოზიტიური პრაქტიკის გავრცელების საფუძველს.

პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრავს შეფასების შედეგების გამოყენებას თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლის, წახალისებისა და ინდივიდუალური მხარდაჭერის მიზნით.
დოკუმენტში განსაზღვრულია განმავითარებელი ღონისძიებები, მათ შორის ტრენინგები, სასწავლო კურსები, განმავითარებელი დავალებები და მენტორინგი, რაც ხელს უწყობს წარმატებული გამოცდილების გაზიარებასა და კოლეგიალურ განვითარებას. ასევე სკოლის საერთო საგანმანათლებლო კონცეფცია, ღირებულებები და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობით, ურთიერთსწავლასა და პროფესიული განვითარების უწყვეტ მხარდაჭერას, რაც ქმნის წარმატებული გამოცდილების გაზიარებისათვის აუცილებელ გარემოს.
ვინაიდან შეფასების მომენტისთვის სკოლას სასწავლო პროცესი ჯერ არ დაუწყია, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელების შედეგები. თუმცა წარმოდგენილი რეგულაციები და დაგეგმილი პროცესები ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები.

3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/4-ით დამტკიცებული სკოლის დებულება
- სამუშაო აღწერილობები
- სკოლის შინაგანაწესი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/13 დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/6-ით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/8 კონკურსის გამოცხადების შესახებ
- კონკურსის მასალები
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/65 დამტკიცებული- პერსონალის შეფასების წესი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/7-საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ
- მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის ურთიერთდაკავშირებული სისტემა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა პროფესიულ განვითარებას განიხილავს, როგორც სკოლის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს. დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის პრინციპებს.

პერსონალის შეფასების წესი ადგენს შეფასების მიზნებს, პრინციპებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს. შეფასება ორიენტირებულია თანამშრომლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენაზე, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მოტივაციის ამაღლებაზე. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები მოიცავს როგორც პროფესიულ კომპეტენციებს, ასევე თანამშრომლობას, ინოვაციურობას, პროფესიული განვითარებისათვის მზადყოფნასა და სკოლის ღირებულებების გაზიარებას, რაც უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის მრავალმხრივ შეფასებას.

პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა პირდაპირ ეფუძნება პერსონალის შეფასების შედეგებს და განსაზღვრავს პროფესიული საჭიროებების გამოვლენის წყაროებს, რომელთა შორისაა თანამშრომლის თვითშეფასება, უშუალო ხელმძღვანელის შეფასება, ინდივიდუალური შეხვედრები, შიდა მონიტორინგის შედეგები, პროფესიული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი საჭიროებები, ხოლო მასწავლებლების შემთხვევაში — მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირიც.

დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს შეფასების შედეგების საფუძველზე პროფესიული განვითარების მიზნების, ღონისძიებებისა და მონიტორინგის მექანიზმების დაგეგმვას.

მასწავლებელთა შეფასების პროცესში გამოყენებულია საგაკვეთილო დაკვირვების სტანდარტიზებული რუბრიკა, რომელიც დეტალურად აფასებს სასწავლო გარემოს, სწავლების პროცესს, შეფასების პრაქტიკასა და პროფესიულ კომპეტენციებს. აღნიშნული ინსტრუმენტი ქმნის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საფუძველს პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრისათვის.

გარდა შიდა მექანიზმებისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო პროფესიული განვითარების მიმართულებით თანამშრომლობის ინიციატივაც Moreland University-სთან, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებელთა სერტიფიცირების, მენტორობისა და პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სკოლის პროფესიული განვითარების სისტემის მდგრადობას.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული მექანიზმები.

შეფასების სისტემა არ შემოიფარგლება მხოლოდ თანამშრომლის საქმიანობის შეფასებით, არამედ მისი შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების, შესაბამისი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისა და პერსონალის უწყვეტი პროფესიული ზრდის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება და მექანიზმების პრაქტიკული ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის ინსტიტუციურ მზაობას აღნიშნული პროცესების სისტემურად განხორციელებისთვის.

3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პერსონალის შეფასების წესი, პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მასწავლებლის გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა და პროფესიული განვითარების მიმართულებით წარმოდგენილი საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება დაგეგმილია სისტემურად და ეფუძნება გამოვლენილი საჭიროებების ანალიზს.

პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა განსაზღვრავს პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის თანამშრომლის თვითშეფასებას, უშუალო ხელმძღვანელის შეფასებას, ინდივიდუალურ შეხვედრებს, შიდა მონიტორინგის შედეგებს, პროფესიული საქმიანობის პროცესში გამოვლენილ საჭიროებებს, ხოლო მასწავლებლების შემთხვევაში – მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირს. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება თითოეული თანამშრომლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, პროფესიული განვითარების მიზნები, შესაბამისი აქტივობები და მათი განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები.

პროფესიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს განვითარების მრავალფეროვან ფორმებს, როგორიცაა შიდა და გარე ტრენინგები, პროფესიული კურსები, მენტორობა, ქოუჩინგი, კოლეგიალური სწავლება, განმავითარებელი დავალებები, პროფესიული შეხვედრები და პრაქტიკის გაზიარება. ამასთან, განვითარების ღონისძიებები ორიენტირებულია როგორც ინდივიდუალური პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე, ისე JBS-ის საგანმანათლებლო მოდელის, Wellbeing-ის პროგრამისა და „5R“ (პასუხისმგებლობა, (ნებისყოფა, ურთიერთობები, რეფლექსია და უწყვეტი ძალისხმევა), კულტურის პრაქტიკაში დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების კავშირს სკოლის სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე მექანიზმის დანერგვას, შეფასების შედეგებზე დაფუძნებული ინტერვენციების განხორციელებას, თანამშრომელთა ინიციატივების მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარების სისტემის ეტაპობრივ ამოქმედებას, რაც ადასტურებს პროფესიული განვითარების დაგეგმვის ინტეგრირებას სკოლის საერთო მართვის პროცესში.

ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილია Moreland University-სთან თანამშრომლობის წერილი, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, მენტორობისა და სერტიფიცირების პროგრამების განხორციელებას. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვნად აფართოებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და ადასტურებს სკოლის ორიენტაციას პერსონალის უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების სისტემურ ანალიზს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული განვითარების ღონისძიებები დაგეგმილია გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, მოიცავს განვითარების მრავალფეროვან ფორმებს და მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება და პრაქტიკაში აღნიშნული მექანიზმების შედეგიანობის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია,

წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს სკოლის მზაობას პროფესიული განვითარების პროცესის სისტემურად, თანმიმდევრულად და საჭიროებებზე დაფუძნებით წარმართვისათვის.

3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლას შექმნილი აქვს პერსონალის კარიერული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების განვითარებას, შეფასების შედეგების გამოყენებასა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პრინციპს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას განიხილავს, როგორც სკოლის ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას და ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული პოტენციალის გამოვლენასა და მხარდაჭერას.

პერსონალის შეფასების სისტემა ორიენტირებულია თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების გამოვლენასა და მათი განვითარების მხარდაჭერაზე, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავებისა და თანამშრომელთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით.

პროფესიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს ტრენინგებს, მენტორობას, ქოუჩინგს, პროფესიული გამოცდილების გაზიარებას, შიდა და გარე სასწავლო პროგრამებში მონაწილეობასა და პროფესიულ ქსელებში ჩართულობას, რაც ქმნის თანამშრომელთა უწყვეტი კარიერული ზრდის შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლაში დასაქმებული ისტორიისა და ესპანური ენის მასწავლებლები აკმაყოფილებენ მასწავლებლის პროფესიული სტატუსის მინიჭების წინაპირობებს, ხოლო მათემატიკის მასწავლებელს აქვს მასწავლებლის მაძიებლის პროგრამაში ჩართვის შესაბამისი საფუძველი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმარტებებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე მოხდება აღნიშნული პედაგოგებისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროფესიული სტატუსის მინიჭებისა და შესაბამის პროგრამებში ჩართვის პროცედურების დაწყება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას, აქტიურად შეუწყოს ხელი მასწავლებელთა კარიერულ განვითარებასა და პროფესიულ წინსვლას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას შექმნილი აქვს პერსონალის კარიერული განვითარების მხარდაჭერის თანმიმდევრული სისტემა, რომელიც ეფუძნება თანამშრომელთა შეფასების შედეგებს, პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ დაგეგმვასა და მრავალფეროვან განვითარების შესაძლებლობებს. ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული სტატუსის მოპოვებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ეტაპისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება და აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული შედეგიანობის შეფასება ამ

ეტაპზე შეუძლებელია, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის მზაობას პერსონალის კარიერული განვითარების სისტემურად მხარდაჭერისათვის.

3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული აქვს ახლად დასაქმებული თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომლის ეფექტიან ჩართვას სკოლის საქმიანობაში, ორგანიზაციული კულტურის გაზიარებასა და პროფესიული საქმიანობის წარმატებით დაწყების ხელშეწყობას.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი მოიცავს სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურის, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, სამუშაო პასუხისმგებლობებისა და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გაცნობას, ასევე მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას ადაპტაციის პერიოდში.

ადაპტაციის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ინფორმაციის მიწოდებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლების ეტაპობრივი ინტეგრაცია პროფესიულ გარემოში, მათთვის კონსულტირების, მენტორული მხარდაჭერის, კოლეგიური თანამშრომლობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობა. აღნიშნული ხელს უწყობს თანამშრომლის სწრაფ ადაპტაციას, პროფესიული როლის გააზრებასა და სკოლის ორგანიზაციულ კულტურაში ეფექტიან ინტეგრაციას.

სკოლის ორგანიზაციული მოდელი ეფუძნება მონაწილეობით მმართველობას, გუნდურ თანამშრომლობას, Wellbeing-ის კონცეფციასა და „5R“ ღირებულებებზე დაფუძნებულ პროფესიულ ურთიერთობებს. აღნიშნული პრინციპები ასახულია როგორც ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, ისე სკოლის სხვა სტრატეგიულ და მარეგულირებელ დოკუმენტებში და ქმნის თანამშრომელთა მხარდაჭერისა და ინტეგრაციისათვის ხელსაყრელ ორგანიზაციულ გარემოს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას შექმნილი აქვს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის სისტემური მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის ორგანიზებულ პროცესს, ისე პროფესიული მხარდაჭერის, მენტორობის, კოლეგიური თანამშრომლობისა და ორგანიზაციული კულტურის გაზიარების ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ეტაპისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება და აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული ეფექტიანობის შეფასება შეუძლებელია, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის მზაობას თანამშრომელთა ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროფესიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებებისა და ინიციატივების გამოვლენას, მათი განვითარებისათვის შესაბამისი შესაძლებლობების შექმნასა და პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებიც, რომლებიც მოიცავს როგორც მორალური, ისე მატერიალური წახალისების ფორმებს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევების, ინიციატივების, მაღალი შედეგებისა და სკოლის განვითარებაში შეტანილი წვლილის აღიარების მიზნით. აღნიშნული მექანიზმები ქმნის თანამშრომელთა პროფესიული აქტიურობისა და ინოვაციური ინიციატივების მხარდაჭერის დამატებით ინსტიტუციურ საფუძველს.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს შეფასების შედეგებზე დაფუძნებული განვითარების ღონისძიებების განხორციელებასა და თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდას სკოლის განვითარების პროცესებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სკოლის ორიენტაციას თანამშრომელთა პროფესიული ინიციატივების მხარდაჭერაზე.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას შექმნილი აქვს პერსონალის პროფესიული განვითარების ინიციატივების მხარდაჭერის თანმიმდევრული მექანიზმები, რომლებიც მოიცავს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების გამოვლენას, განვითარების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებას, პროფესიული მიღწევებისა და ინიციატივების წახალისებას, ასევე საერთაშორისო პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობას. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ეტაპისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია ფუნქციონირება და აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული შედეგიანობის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის მზაობას თანამშრომელთა პროფესიული ინიციატივების მხარდაჭერისა და უწყვეტი განვითარების კულტურის ჩამოყალიბების მიმართულებით.

3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/13 დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/51-ით დამტკიცებული 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა.
- გაკვეთილის შეფასების რუბრიკა
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/88 დამტკიცებული- პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/65 დამტკიცებული -პერსონალის შეფასების წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

შპს „ჯეიბიეს სკოლაში“ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება სკოლაში მიმდინარე მმართველობით, ძირითად (კურიკულუმის შემუშავება/განხორციელება, სასწავლო პროცესის ორგანიზება) და დამხმარე პროცესებზე (საქმისწარმოება, ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსები, უსაფრთხოება და სხვ.). დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მთლიანად ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემურ ციკლს – „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – მოახდინე რეაგირება“ (PDCA), რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს:

დაგეგმვა : ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი დირექტორთან ერთად ამზადებს წლიურ გეგმას, შეიმუშავებს პრიორიტეტებსა და ინსტრუმენტებს (დაკვირვების შაბლონები, კვლევის ფორმები).

განხორციელება: მოიცავს გაკვეთილებზე დაკვირვებას, შეფასების ვერიფიკაციას, კვლევებს, უსაფრთხოებისა და ინკლუზიური განათლების მონიტორინგს.

შემოწმება: ხდება მონაცემთა სისტემური ანალიზი, აკადემიური მიღწევების, დასწრებისა და კეთილდღეობის მაჩვენებლების შედარება საწყის ვითარებასთან.

რეაგირება: გულისხმობს გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე სამოქმედო გეგმის კორექტირებას, მიზნობრივ პროფესიულ განვითარებას და სასწავლო წლის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის წლიური ანგარიშის მომზადებას.

პოლიტიკის დოკუმენტის მე-4 მუხლით მკაფიოდ არის განსაზღვრული ხარისხის მართვაში ჩართულ პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები (დირექტორი, მოადგილე, დეპარტამენტები, დამრიგებლები). სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2/32) უკვე ფორმირებულია „ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი“, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით შეგროვებაზე, ანალიზსა და რეკომენდაციების მომზადებაზე.
პოლიტიკა ასევე ითვალისწინებს რაოდენობრივი (აკადემიური პროგრესი, დასწრება, ადამიანური რესურსები) და თვისობრივი მონაცემების (გაკვეთილზე დაკვირვება, კმაყოფილების კვლევები, ქეისების ანალიზი) კომპლექსურ გამოყენებას, ხოლო მიღებული შედეგები პირდაპირ აისახება სტრატეგიული პრიორიტეტების კორექტირებასა და ბიუჯეტირებაში.
ინტერვიუების ეტაპზე დაწესებულების ხელმძღვანელობამ ხაზი გაუსვა, რომ სკოლის მიზანია არა „შეცდომების გამოვლენის“, არამედ უწყვეტი გაუმჯობესებისა და მხარდაჭერის კულტურის დამკვიდრება.
ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, მართვის პროცესული მიდგომები, ოთხეტაპიანი წლიური ციკლი (PDCA) და დირექტორის ბრძანებით (N2/32) უკვე შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ერთობლიობაში ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააჩნია სტრუქტურული, სამართლებრივი და კონცეპტუალური მზაობა, რათა სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე პრაქტიკაში ეფექტურად წარმართოს საქმიანობა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად.

3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში მკაფიოდ აქვს იდენტიფიცირებული, კლასიფიცირებული და აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შიდა პროცესი.
სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, ორგანიზაციული საქმიანობა დაყოფილია სამ ძირითად კატეგორიად:

- **მმართველობითი პროცესები:** უკავშირდება სკოლის სტრატეგიულ და წლიურ დაგეგმვას, საქმიანობის კონტროლს, განხორციელების მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფის მართვას.
- **ძირითადი პროცესები:** მოიცავს უშუალოდ საგანმანათლებლო და სწავლა-სწავლების კომპონენტებს, კერძოდ, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და გაუმჯობესებას, მის პრაქტიკულ განხორციელებას, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვას.
- **დამხმარე პროცესები:** ემსახურება ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვან და შეუფერხებელ მიმდინარეობას. დამხმარე პროცესებად იდენტიფიცირებულია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) წარმოება, საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მოსწავლის მხარდამჭერი სერვისების განხორციელება, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ამავე პოლიტიკის მე-4 მუხლში დეტალურად არის აღწერილი თითოეულ ამ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციების როლები (დირექტორი, მოადგილე, ხარისხის ჯგუფი, დეპარტამენტები, დამრიგებლები და სხვა პერსონალი), რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესულ მიდგომას.

სკოლის შინაგანაწესი (თავები II, III, IV, VII, XI) თავის მხრივ აკონკრეტებს ამ პროცესების (ადამიანური რესურსები, უსაფრთხოება, საგაკვეთილო მონიტორინგი) შესრულების წესებსა და პირობებს.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუმ დაადასტურა სკოლის მკაფიო ხედვა, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს დამხმარე და მმართველობითი რგოლები ძირითადი მიზნის – მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებისა და ხარისხიანი განათლების მისაღწევად.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, სადაც იდენტიფიცირებული და კატეგორიზებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და შინაგანაწესის მარეგულირებელი ნორმები ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია მზაობა, რათა სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე საგანმანათლებლო საქმიანობა წარმართოს გამართული პროცესული მიდგომით.

3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

შპს „ჯეიბიეს სკოლაში“ შექმნილია გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისა და საჩივრების მართვის დეტალური სისტემა. სკოლის ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტის – „შინაგანაწესის“ XII თავის (მუხლი 40) თანახმად, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს აქვთ უფლება, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად დადგენილი წესით გაასაჩივრონ არამართლზომიერი ქმედებები.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 10 მარტის ბრძანებით N2/27 დამტკიცებულია დამოუკიდებელი დოკუმენტი – „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“. აღნიშნული წესის მოქმედება სრულად ვრცელდება სკოლის ყველა თანამშრომელზე, მოსწავლეზე, მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე. წესით მკაფიოდ არის დარეგულირებული საქმისწარმოების სრული ციკლი, რაც მოიცავს საჩივრის წერილობითი თუ ელექტრონული ფორმით წარდგენისა და დაუყოვნებლივი რეგისტრაციის მექანიზმებს, რეაგირების გონივრულ ვადებს (განცხადებისთვის – 10 სამუშაო დღე; საჩივრისთვის – 1 თვე, ვადის მაქსიმუმ დამატებით 1 თვით გაგრძელების შესაძლებლობით), ხარვეზის დადგენის პროცედურებსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიებს (მუხლი 12). დოკუმენტის მე-2 და მე-5 მუხლები მკაცრად უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას და ითვალისწინებს აცილებისა და თვითაცილების მექანიზმებს. წესის II თავი განსაზღვრავს ვაკანსიის კონკურსის შედეგების გასაჩივრების სპეციალურ წესს, ხოლო III თავი ექსკლუზიურად ეთმობა უფლების დარღვევის შემთხვევებში საჩივრების განხილვას.

სკოლის დირექტორის 2026 წლის 10 მარტის ბრძანებით N2/28 უკვე შექმნილია მუდმივმოქმედი „საჩივრის განხილვის კომისია“ ინტერვიუების ეტაპზე დაწესებულებამ გამოავლინეს მკაფიო და პოზიტიური ხედვა თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებზე. ხელმძღვანელობას კარგად აქვს გააზრებული საჩივრების განხილვის სისტემის პრაქტიკული დანერგვის მნიშვნელობა სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტებით, შინაგანაწესით და ფორმირებული საჩივრების განმხილველი კომისიით დაწესებულებას გააჩნია სტრუქტურული, სამართლებრივი და კონცეპტუალური მზაობა, რათა სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე უზრუნველყოს აღნიშნული სისტემის ეფექტური და გამართული ფუნქციონირება.

3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვისა და ბავშვზე ზრუნვის ყოველმხრივი მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესის მე-17 მუხლით მკაფიოდ არის დეკლარირებული მოსწავლის უფლება, სრულად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, გამოთქვას საკუთარი აზრები და შეხედულებები, დაიცვას პიროვნული ღირსება და ისარგებლოს სკოლის ყველა რესურსით.

სასკოლო სივრცეში მოსწავლეთა უფლებების გარანტირების, ბავშვთა კეთილდღეობის ხელშეწყობისა და ძალადობის/ბულინგის პრევენციის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა უფლებების დაცვის პოლიტიკა“. აღნიშნული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ბავშვთა უფლებათა კონვენციასა და „ბავშვთა უფლებების კოდექსს“. დოკუმენტის ანალიზით იკვეთება მოსწავლის უფლებების დაცვის შემდეგი ინსტრუმენტები და ეტაპები:

- **უფლებრივი გარანტიები:** მე-4 მუხლით გარანტირებულია მოსწავლის უფლება განათლებაზე, უსაფრთხო გარემოზე, აზრის თავისუფალ გამოხატვაზე, პირადი ცხოვრების/პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე, სამედიცინო, პედაგოგიური თუ ფსიქოლოგიური დახმარების მიღებაზე.
- **შიდა მექანიზმები და მხარდაჭერა:** მე-6 მუხლი განსაზღვრავს უფლებათა დაცვის პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ბულინგის პრევენცია, სკოლის ფსიქოლოგის კონფიდენციალური მომსახურება, დამრიგებლის რეგულარული კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მედიაციის მარეგულირებელი წესის გამოყენება და საგანმანათლებლო აქტივობები (სემინარები, ბავშვთა უფლებების კვირეული).
- **ინფორმირებულობა:** სკოლა იღებს ვალდებულებას, სასწავლო წლის დაწყებიდან 10 დღის ვადაში მშობლებსა და მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვთა დაცვის ცხელი ხაზებისა და უწყებების შესახებ, ხოლო 1 თვის ვადაში უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა.
- **რეაგირების ეტაპები:** უფლების დარღვევის ან ძალადობის შემთხვევაში, მოსწავლეს შეუძლია მიმართოს როგორც შიდა ინსტანციებს (დამრიგებელს, ფსიქოლოგს, ადმინისტრაციას, საჩივრების განმხილველ კომისიას), ისე გარე უწყებებს (სახალხო დამცველი – 1481, ბავშვთა დაცვის ცხელი ხაზი – 111, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – 112). ყველა საჩივარზე რეაგირება უნდა განხორციელდეს ბავშვის კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.
- **მონიტორინგის სისტემა:** პოლიტიკის მე-8 მუხლი ითვალისწინებს უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტურობის პერიოდულ შეფასებას ფოკუს-ჯგუფების, გამოკითხვებისა და ფსიქოლოგის ანგარიშების საფუძველზე.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს სკოლამ გამოხატა სრული მზაობა ბავშვზე ორიენტირებული და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკის დოკუმენტი სკოლის ძირითად ღირებულებებს ეფუძნება.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი „მოსწავლეთა უფლებების დაცვის პოლიტიკა“, შინაგანაწესის რეგულაციები, საჩივრების მართვის მექანიზმები და სპეციალური საჩივრების განმხილველი კომისიის არსებობა ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააჩნია სამართლებრივი, სტრუქტურული და კონცეპტუალური მზაობა, რათა სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე პრაქტიკაში ეფექტურად უზრუნველყოს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა.

3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/31-ით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სკოლის შინაგანაწესი

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/27-ით დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/28 საჩივრების განხილვის კომისიის შექმნის შესახებ
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/63-ით დამტკიცებული მოსწავლეთა უფლებების დაცვის პოლიტიკა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დაწესებულებას მართვის პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოყალიბებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღება-რეაგირების სისტემა. კერძოდ, „პედაგოგიური საბჭოს დებულების“ თანახმად, საბჭო წარმოადგენს მასწავლებელთა ინფორმირებისა და მართვაში მონაწილეობის მთავარ პლატფორმას. დებულების მე-3 და მე-5 მუხლებით გარანტირებულია, რომ საბჭოს წევრებს (ყველა მასწავლებელს) აქვთ თანაბარი ხმის უფლება, ინიციატივებით გამოსვლისა და დღის წესრიგში საკითხების დაყენების უფლებამოსილება. საბჭოზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის, სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმების განხილვა და რეაგირების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება დირექტორისთვის.
დამრიგებლის დებულების თანახმად, კლასის დამრიგებელს ეკისრება წამყვანი როლი მშობელთა ინფორმირებულობისა და უკუკავშირის პროცესში. მუხლი 3 აკონკრეტებს დამრიგებლის ვალდებულებას, აწარმოოს მშობელთან ეფექტური კომუნიკაცია, დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესისა თუ პრობლემების შესახებ და წლის მანძილზე მოაწყოს მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრები. ამასთანავე, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, დამრიგებლები წელიწადში მინიმუმ ორჯერ უზრუნველყოფენ მშობლებისგან უკუკავშირის მიღებას (შეხვედრების, კვლევების ან სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით) და ამუშავებენ მიღებულ ტენდენციებს მართვის შემდგომი გადაწყვეტილებებისთვის.
სკოლას უკვე დანერგილი აქვს Google Forms-ის ელექტრონული პლატფორმა ანონიმური გამოკითხვების საწარმოებლად. წარმოდგენილია „მასწავლებელთა კითხვარების შესახებ ანგარიში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 16-მა ახლად აყვანილმა პედაგოგმა.
კვლევამ შეისწავლა პედაგოგთა ხედვები სკოლის მისია/ხედვასთან, საჭირო ტრენინგებთან და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით. ანგარიში ადასტურებს, რომ სკოლა უკვე ახდენს მიღებული მონაცემების ანალიზს სამომავლო აქტივობების დასაგეგმად. ანგარიშის მიხედვით, სკოლა მომავალში ასევე გეგმავს მშობლებისა და მოსწავლეების კმაყოფილების პერიოდულ კვლევას.

ინტერვიუების ეტაპზე მენეჯმენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიღებული უკუკავშირი (როგორც გამოკითხვებიდან, ისე დეპარტამენტებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებიდან) გამოყენებული იქნება სამოქმედო გეგმების კორექტირებისა და სასწავლო გარემოს უწყვეტი გაუმჯობესებისთვის, რაც პასუხობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის პრინციპებს.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (პედაგოგიური საბჭოსა და დამრიგებლის დებულებები), ხარისხის პოლიტიკით განსაზღვრული უკუკავშირის წლიური ციკლი და უკვე პრაქტიკულად განხორციელებული პედაგოგთა საჭიროებების კვლევა და მისი ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააჩნია ფუნქციური, ინსტიტუციური და კონცეპტუალური მზაობა. სკოლას შექმნილი აქვს ყველა საჭირო წინაპირობა, რათა სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე ეფექტურად აამუშაოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები.

3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

შპს „ჯეიბიეს სკოლაში“ ინსტიტუციურად და პრაქტიკულად უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური თანამონაწილეობა და ჩართულობა მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს კოლეგიალური მართვის ციკლს. კერძოდ, სკოლის ფილოსოფიის, მისია/ხედვისა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების მიზნით შექმნილი იყო სპეციალური სამუშაო ჯგუფი (ადმინისტრაცია, მარკეტოლოგი, საგანმანათლებლო და სტრატეგიული მენეჯმენტის კონსულტანტები). სამუშაო ჯგუფის ოქმები ადასტურებს, რომ ჯგუფმა გადაწყვეტილებები დააფუძნა მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებზე და შეიმუშავა სკოლის ფილოსოფია და 2026-2033 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი (6 ძირითადი მიმართულებით). სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტები შემდგომი განხილვისა და წარედგინა სკოლის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოს – პედაგოგიურ საბჭოს. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი ადასტურებს, რომ საბჭოს სრულმა შემადგენლობამ ხმების უმრავლესობით აირჩია საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი, დეტალურად განიხილა და მოიწონა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

მასწავლებელთა ჩართულობა საგნობრივ და მეთოდოლოგიურ მართვაში რეალიზებულია დეპარტამენტების დონეზე. წარმოდგენილია „დაწყებითი საფეხურის დეპარტამენტის“ და „ველბიინგის და სპორტის დეპარტამენტის“ მასალები. ოქმები ადასტურებს, რომ პედაგოგები კოლეგიალურად ირჩევენ მდივანს, შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმებს, ახდენენ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სპეციალური კრიტერიუმებით, არჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და ერთობლივად ადგენენ საგნობრივ კურიკულუმებსა თუ ველბიინგის სასწავლო პროგრამებს დირექტორისთვის წარსადგენად.

ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ კოლეგიალურ ორგანოებში გადაწყვეტილებები მიიღება დემოკრატიულად, კენჭისყრისა და აზრთა ღია გაზიარების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გაზიარების კულტურას.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ბაზა (პედაგოგიური საბჭოსა და დეპარტამენტების დებულებები) და უკვე პრაქტიკულად წარმოებული, კოლეგიალური საქმისწარმოება — კერძოდ, სტრატეგიული სამუშაო ჯგუფის, პედაგოგიური საბჭოს და საგნობრივი დეპარტამენტების სხდომების ოქმები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში რეალურად მოქმედებს და უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა მართვის პროცესებში.
სკოლას გააჩნია ორგანიზაციული და ფუნქციური მზაობა, რათა სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე შეინარჩუნოს და განავითაროს კოლეგიალური მართვის სისტემა.

3.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის დეპარტამენტის სხდომის ოქმები
- ველბიინგის და სპორტის დეპარტამენტის სხდომის ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- მასწავლებლის კითხვარი
- მასწავლებლის კითხვარები
- კითხვარის ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც სრულად პასუხობს მოქმედ კანონმდებლობას. წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი) 2026 წლის 21 აპრილის ოფიციალური წერილი №MIA 7 26 01364631. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ შპს „ჯეიბიეს სკოლის“ საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულია უფლებამოსილი სამსახურის მიერ.
სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სკოლას ოფიციალურად აქვს მიმართული კომპეტენტური უწყებისთვის, რაც დასტურდება დოკუმენტით. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის №03/05 განცხადებით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №308 დადგენილების საფუძველზე, მოთხოვნილია მომსახურება ქ. თბილისში, ოთარ ჩხეიძის ქ. №5-ში მდებარე 807.5 კვ.მ. შენობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან/ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის დადგენისა და სათანადო წინადადებების მომზადების თაობაზე.
ამასთანავე, შპს „ჯეიბიეს სკოლის“ დირექტორის 2026 წლის 6 აპრილის №2/53 ბრძანებით, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის სამეურნეო მენეჯერი. მასვე დაევალა სახანძრო ინვენტარის მდგომარეობის რეგულარული შემოწმება და ევაკუაციის გეგმის შესრულების მონიტორინგი.

სკოლას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთლობის დაცვის გეგმა, ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობაში მიმდინარეობდა აქტიური სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები (კონტრაქტორი „შპს გარემო"). როგორც სკოლის წარმომადგენლებმა და მენეჯმენტმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მიმდინარე სარემონტო სამუშაოების წარმოებისას სკოლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს შენობის მთლიანი სივრცითი მოწყობისა და კომუნიკაციების მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების სრული დაცვით განხორციელება. ასევე გათვალიწინებულია სკოლის შენობის ღია აივნის შემინვის სამუშაოები, რაც დასტურდება სკოლის შენობის პროექტით.

გარდა შიდა პერიმეტრისა, უსაფრთხოების მიზნით, სრულად არის სკოლის ეზოს მთელი პერიმეტრი მყარად შემოღობილი, რაც უზრუნველყოფს გარეშე პირთა კონტროლირებად და უსაფრთხო დაშვებას სკოლის ტერიტორიაზე და სრულად გამორიცხავს მოსწავლეთა თვითნებურ გასვლას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

შენობის ტექნიკური მდგრადობის კუთხით, სკოლას წარმოდგენილი აქვს სსიპ ლევან სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული რეგისტრაციის ბარათები №1002952026 და №1005444526, რაც ადასტურებს, რომ საინჟინრო ექსპერტიზის წარმოება და შენობის მდგრადობის შეფასება მიმდინარეობს. თუმცა ჯერ-ჯერობით საბოლოო დასკვნა სკოლას არა აქვს. აღნიშულ საკითხთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც ჩანს, რომ 2026 წლის 1 სექტემბერამდე სკოლა უზრუნველყოფს შენობის ტექნიკური მდგრადობის დასკვნის მოპოვებას.

ექსპერტთა შეფასებით, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის ეზოს პერიმეტრი სრულად შემოღობილია, აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, აქვს მიწერილობა შესაბამის უწყებასთან სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შემოწმებაზე. ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს შენობის ტექნიკური მდგრადობის დასკვნა, რაზეც წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, რომლის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული სამუშაოები. კერძოდ, წარმოდგენილია აკრედიტებული A ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ 2026 წლის 10 ივლისს მომზადებული ინსპექტირების ანგარიში, რომლის შეფასების საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ოთარ ჩხეიძის ქ. №5-ში მდებარე სკოლის შენობის კონსტრუქციული მდგომარეობის, მდგრადობისა და ექსპლუატაციისათვის ვარგისობის შეფასება. ინსპექტირბის ანგარიშის მიხედვით, სკოლის შენობა მდგრადია და ვარიასია ექსპლუატაციისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით აღმოფხვრილია დასკვნის პროექტში ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებული ის გარემოება, რომელიც უკავშირდებოდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის არარსებობას. შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასებაც და გადადის სრულ შესაბამისობაში

3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“ (დებულება). აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის განათლების სამინისტროსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ / №01-23/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით. წესი დეტალურად არეგულირებს სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებას, პაციენტის (არასრულწლოვნის) უფლებებს, მედიკამენტების გაცემისას მშობლებთან კონსულტაციის სავალდებულოობასა და პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობას. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, წარმოდგენილია ექიმის სამოქმედო გეგმა და ვიზუალური სქემის სახით სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი გადაწყვეტილების მიღების პროცედურები: ექიმთან დაკავშირება, მდგომარეობის შეფასება, საჭიროებისას 112-ის მყისიერი გამოძახება, პირველადი დახმარება ბრიგადის მოსვლამდე და მშობელთან სავალდებულო კომუნიკაცია ჰოსპიტალიზაციის საჭიროებისას.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესს დანართის სახით თან ერთვის ილუსტრირებული „პირველადი დახმარების პროტოკოლი“, რომელიც შეიცავს გადაუდებელი რეაგირების ინსტრუქციებს. ასევე, წარმოდგენილია ოფიციალური სააღრიცხვო ფორმები: „სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა და „სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, რაც უზრუნველყოფს ყველა მომართვის ზუსტ, სისტემურ და კონფიდენციალურ დოკუმენტირებას.

ვიზიტის დროს შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეაფასა რამდენადაა დაკმაყოფილებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრ.№41/ნ/01-23/ნ-ით განსაზღვრული სამედიცინო კაბინეტის მოწყობისადმი დადგენილი მოთხოვნები. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო კაბინეტისთვის გამოყოფილი სივრცის საბოლოო მოწყობის დასრულებას 2026 წლის 1 სექტემბრამდე. აქვე უნდა ითქვას, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო სივრცის ფუნქციური აღჭურვისა და მედიკამენტებით მომარაგების წინსწრები მტკიცებულებები. კერძოდ, შპს „თბილისი მედიკს“ შორის 2026 წლის 27 მარტს გაფორმებულია ნასყიდობის ხელშეკრულება №20260327 ნ/თ-1,ხელშეკრულების დანართი №1 და შპს „როიალ მედიკალის“ 2026 წლის 15 ივნისის ინვოისი, 19 ივნისის №0077 ელექტრონული საგადახდო დავალება და 2026 წლის 23 ივნისის სასაქონლო ზედნადები, რითაც დასტურდება, რომ სკოლას უკვე შესყიდული აქვს და ადგილზეა მიწოდებული სამედიცინო კაბინეტის სავალდებულო აღჭურვილობა. ასევე, წარმოდგენილია პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტების სრული სპექტრის შესყიდვის მტკიცებულებები.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ შესყიდულია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები, სპეციალიზებული აპარატურა, ავეჯი და ინსტრუმენტები. თუმცა ვიზიტის დროს, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ვერ მოხერხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო კაბინეტის დათვალიერება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო კაბინეტის მოწყობის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებები. სკოლის განმარტებით, სამედიცინო სივრცე აღიჭურვა შესაბამისი ავეჯით, პირველადი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. წარმოდგენილი ფოტომასალით ასევე დასტურდება სამედიცინო კაბინეტის ფაქტობრივი მოწყობა — სივრცეში განთავსებულია გასასინჯი ტახტი, ექიმის სამუშაო მაგიდა და სკამი, ხელსაბანი, მაცივარი და სხვა შესაბამისი ინვენტარი.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, თანდართული მტკიცებულებები და გაიზიარა სკოლის პოზიცია. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ვიზიტის პერიოდში არსებული გარემოება შეიცვალა — დასრულებულია სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი სივრცისა და მატერიალური რესურსის შექმნა პირველადი დახმარების გასაწევად. აღნიშნულის გათვალიწინებით შეიცვალა ინდიკატორის შეფასებაც და გადადის სრულ შესაბამისობაში.

3.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

შპს „ჯეიბიეს სკოლაში“ საზოგადოებრივი წესრიგისა და სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტი, რომელიც არეგულირებს პრევენციულ ღონისძიებებს, ბულინგის/კიბერბულინგის, ძალადობის, საგანგებო სიტუაციებისა და სხვა შესაძლო დარღვევების დროს სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მოქმედებას. აღნიშნული წესი, სკოლამ წარადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შესათანხმებლად.

წარმოდგენილი კორესპოდენციების (სამინისტროს 2026 წლის 15 მაისის წერილი №MES 1 26 0000575074 და სკოლის 2026 წლის 22 მაისის №03/08 წერილი) ანალიზი ადასტურებს, რომ ავტორიზაციის მიზნებისთვის აქტიურად მიმდინარეობს წესის შეთანხმების პროცესი.

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია, უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაე პასუხიემგებელი პირი და უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, 2026 წლის 2 მარტს გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „დაცვის სამსახური პანტერასთან“ ხელშეკრულების თანახმად, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მინისტრის №06/ნ ბრძანების საფუძველზე, დაცვის სამსახური უზრუნველყოფს სკოლის შენობის, მატერიალური ფასეულობებისა და ეზოს შიდა პერიმეტრის დაცვას.

სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე სკოლა არ იყო აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერებით.

სკოლაში მოქმედებს დირექტორის მიერ დამტკიცებული სპეციალური წესი: „სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლამ უზრუნველყო შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემით აღჭურვა და წარმოადგინა ვიდეოკამერების დამონტაჟების დამადასტურებელი ფოტომასალა და შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები. შესაბამისად, დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეუსაბამობა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მოწყობის ნაწილში აღმოფხვრილია. ამასთან, შესაბამისობის რეკომენდაცია კვლავ შესასრულებელია. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების პროცედურა დასრულებული არ არის. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლამ აღნიშნული წესი სამინისტროს შესათანხმებლად ჯერ კიდევ 2026 წლის 7 აპრილს წარუდგინა. აღნიშნული პროცედურის დასრულება მხოლოდ სკოლის მოქმედებაზე არ არის დამოკიდებული. შესაბამისად, სკოლამ განაახლა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სამინისტროსთან შეთანხმებული წესის მიღების საბოლოო ვადად განსაზღვრა 2027 წლის 31 მარტი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

3.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2027 წლის 31 მარტამდე, უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმება.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

შპს „ჯეიბიეს სკოლაში“ მოსწავლეთა ფსიქოლოგიური, ემოციური და სოციალური უსაფრთხოების დაცვის, ბულინგის, კიბერბულინგისა და ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისა და ეფექტური რეაგირების მიზნით, ჩამოყალიბებულია შიდა ორგანიზაციული და სამართლებრივი მექანიზმები. კერძოდ, სკოლის დირექტორის, 2026 წლის 16 მარტის №2/35 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ჯეიბიეს სკოლის რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები“. დირექტორის ბრძანებით (ბრ. №2/36) განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგით, რომელიც უშუალოდ ახორციელებს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერას.

3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებლია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და დეტალურად არეგულირებს წყლის უსაფრთხოების, სანიტარული და ჰიგიენური უსაფრთხოების, დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის, სასადილო სივრცის სანიტარიული კონტროლისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს.

დოკუმენტით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმებიც, რაც ქმნის ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის ინსტიტუციურ საფუძველს. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაადგინა, რომ სკოლის შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო შეფასების ეტაპისთვის სველი წერტილები ჯერ არ იყო მოწყობილი (გათვალიწწინებულია ბიჭების, გოგონების და შშმ პირისთვის), რის გამოც სანიტარულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურის პრაქტიკული შეფასება სრულად ვერ განხორციელდა.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ სკოლამ აღნიშნული გარემოება ასახა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, სადაც შეუსაბამობის მიზეზად მითითებულია მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. გეგმით განსაზღვრულია კონკრეტული ღონისძიება — სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა, სკოლა უზრუნველყოფს სველი წერტილების სრულ მოწყობას. ამასთან, გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, დაფინანსების წყარო და განხორციელების ვადები, რაც ადასტურებს, რომ შეუსაბამობის აღმოფხვრის ღონისძიებები რეალისტურად არის დაგეგმილი.

ექსპერტთა ჯგუფი შეფასებით, რომ სკოლას შექმნილი აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი და ორგანიზაციული მექანიზმები, რომლებიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, შეფასების ეტაპისთვის სველი წერტილების მოუწყობლობა დაკავშირებულია შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან და წარმოადგენს დროებით გარემოებას. წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ადასტურებს, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებები, ვადები და პასუხისმგებელი პირები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა განახლებული ინფორმაცია და შესაბამისი მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც ვიზიტის შემდგომ დასრულდა სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები. სკოლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი განმარტებით, შენობის პირველ და მეორე სართულებზე მოწყობილია და ფუნქციონირებს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისი სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალაც. წარმოდგენილი ფოტომასალის შესწავლით დასტურდება, რომ ვიზიტის დროს დაფიქსირებული ფაქტობრივი მდგომარეობა შეიცვალა და სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები დასრულებულია. ამდენად, შესრულებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ამ მიმართულებით განსაზღვრული ღონისძიება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის შეფასება შეიცვალა — „მეტწილად შეესაბამება“ შეფასებიდან „შეესაბამება“ შეფასებით.

3.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, მონაცემთა სუბიექტების უფლებებს, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმებს, მონაცემებზე წვდომის წესებს, ვიდეომონიტორინგის განხორციელების, ელექტრონული ჟურნალის გამოყენებისა და პირადი საქმეების წარმოების პროცედურებს. პოლიტიკა ვრცელდება მოსწავლეებზე, მშობლებზე, თანამშრომლებზე, ვიზიტორებსა და სხვა მონაცემთა სუბიექტებზე.
სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, განსაზღვრულია მისი ფუნქციები და შემუშავებულია წლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მონაცემთა დამუშავების ინვენტარიზაციას, პერსონალის გადამზადებას, მონიტორინგს, რეკომენდაციების გაცემას, მონაცემთა დაცვის სამსახურთან კომუნიკაციასა და შესრულებული საქმიანობის პერიოდულ ანგარიშგებას.
ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების წესი, რომელიც არეგულირებს ინციდენტის გამოვლენის, შეტყობინების, შეფასების, რეაგირების, ზიანის შემცირებისა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდების პროცედურებს.
სკოლას მომზადებული აქვს მოსწავლეთა მშობლებისა და თანამშრომლების წერილობითი თანხმობის ფორმები, რომლებიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებს, თანხმობის ფარგლებსა და მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, მათ შორის თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის შესაძლებლობას. ცალკე ფორმაა შემუშავებული თანამშრომელთა პირადი საქმეების ავტორიზაციის პროცესში გამოყენების მიზნით. დოკუმენტაციით ასევე განსაზღვრულია ვიდეომონიტორინგის სისტემაზე წვდომის უფლებამოსილი პირები, რაც ხელს უწყობს პერსონალური მონაცემების უსაფრთხო დამუშავებასა და მათზე არაუფლებამოსილი წვდომის პრევენციას.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში შექმნილია პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მექანიზმების ერთიანი სისტემა. შემუშავებულია მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები და სამოქმედო გეგმა, რეგულირებულია მონაცემთა დამუშავების, ვიდეომონიტორინგის, ინციდენტებზე რეაგირების, მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვისა და თანხმობის მიღების პროცედურები. აღნიშნული მექანიზმები ქმნის საფუძველს, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა სუბიექტების უფლებების ეფექტიანი დაცვა.

3.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებულია ინფორმაციის დაცვის ერთიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შენახვის, გამოყენებისა და დაცვის წესებს. დოკუმენტი ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მიზნად ისახავს მოსწავლეთა, მშობლების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირების შესახებ დაცული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ითვალისწინებს ინფორმაციის დაცვის მრავალდონიან მექანიზმებს.

ორგანიზაციული დაცვის მიმართულებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები, თანამშრომელთა უფლებამოსილებები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი („საჭიროების მიხედვით წვდომა“), კონფიდენციალურობის ვალდებულება და თანამშრომელთა პერიოდული ინსტრუქტაჟი.

ტექნიკური დაცვის მიმართულებით დადგენილია ელექტრონული ინფორმაციის პაროლით დაცულ სისტემებში შენახვა, ინდივიდუალური მომხმარებლის ანგარიშების გამოყენება, პაროლების უსაფრთხოების მოთხოვნები, კომპიუტერული სისტემების ავტომატური ბლოკირების ვალდებულება, ანტივირუსული პროგრამებისა და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების საშუალებების გამოყენება, მონაცემთა ბაზებზე ავტორიზებული წვდომა, სარეზერვო ასლების რეგულარული შექმნა და საჭიროების შემთხვევაში მონაცემთა შიფრაცია. აღნიშნული მექანიზმები მნიშვნელოვნად ამცირებს ინფორმაციის დაკარგვის, დაზიანების ან არაუფლებამოსილი წვდომის რისკს.

ფიზიკური დაცვის მიმართულებით დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ ქაღალდის მატარებელზე არსებული ინფორმაცია ინახება ჩაკეტილ კარადებსა და დაცულ სივრცეებში, არქივებზე წვდომა შეზღუდულია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის, ხოლო კონფიდენციალური დოკუმენტების განადგურება ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან, დოკუმენტი ითვალისწინებს ინფორმაციის დაცვის სისტემის შიდა კონტროლისა და პასუხისმგებლობის მექანიზმებს. განსაზღვრულია, რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესზე ხორციელდება მუდმივი შიდა კონტროლი, წესის დარღვევის შემთხვევაში დგება შესაბამისი პასუხისმგებლობა, ხოლო გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს მათი აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული ადასტურებს, რომ ინფორმაციის დაცვა სკოლაში განიხილება, როგორც უწყვეტი მართვის პროცესი და არა მხოლოდ ცალკეული ტექნიკური ღონისძიებების ერთობლიობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას შემუშავებული აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის ეფექტიანი და მრავალდონიანი სისტემა, რომელიც აერთიანებს ორგანიზაციულ, ტექნიკურ და ფიზიკურ დაცვის მექანიზმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხო შეგროვების, დამუშავების, შენახვის, გამოყენებისა და განადგურების წესებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, წვდომის კონტროლის მექანიზმებსა და შიდა მონიტორინგის პროცედურებს. აღნიშნული ქმნის მყარ საფუძველს სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე ინფორმაციის უსაფრთხოების ეფექტიანად უზრუნველსაყოფად.

3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა განიხილება, როგორც უწყვეტი მართვის პროცესი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვას, არამედ მათი ეფექტიანობის პერიოდულ შეფასებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე შემდგომ გაუმჯობესებას.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებს უსაფრთხოების სისტემის მონიტორინგს, არსებული რისკების იდენტიფიცირებას, უსაფრთხოების ღონისძიებების პერიოდულ გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს უსაფრთხოების მექანიზმების მუდმივ განვითარებასა და მათ ადაპტირებას სკოლის საქმიანობის საჭიროებებთან.

ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილია თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის განკუთვნილი უსაფრთხოების შეფასების კითხვარი, რომლის მიზანია სკოლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, დაცვის სამსახურის მუშაობის, სკოლის ტერიტორიაზე შესასვლელის კონტროლის, საგანგებო სიტუაციებისთვის მზაობისა და დირექციის რეაგირების ეფექტიანობის შეფასება. კითხვარი ასევე მოიცავს ღია კითხვას, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ წარადგინონ რეკომენდაციები უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა უსაფრთხოების შეფასების პროცესში იყენებს უკუკავშირის მრავალფეროვან მექანიზმებს და გეგმავს მიღებული ინფორმაციის გამოყენებას უსაფრთხოების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის.

უსაფრთხოების მექანიზმების შეფასების შედეგები დაკავშირებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან და წარმოადგენს საფუძველს შესაბამისი სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვისა და უსაფრთხოების პროცესების სრულყოფისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასების სისტემა, რომელიც აერთიანებს შიდა მონიტორინგს, რისკების შეფასებასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მიღების მექანიზმებს. სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, რის გამოც აღნიშნული სისტემის პრაქტიკული შედეგიანობის შეფასება შეუძლებელია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის მზაობას უსაფრთხოების მექანიზმების უწყვეტი შეფასებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე მათი გაუმჯობესების მიმართულებით.

3.4.1.8 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალური წერილი MIA 7 26 01364631 საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ;

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის 2026 წლის 7 აპრილის №03/05 ოფიციალური განცხადება შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე
- სსიპ ლევან სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს განცხადება/რეგისტრაციის ბარათები №1002952026 და №1005444526 (საინჟინრო ექსპერტიზაზე);
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრძანება №2/53 „სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
- შპს „თბილისი მედიკთან“ გაფორმებული ხელშეკრულება №20260327 ნ/თ-1 და საგადახდო დავალება №0005 (ავეჯსა და აპარატურაზე);
- შპს „როიალ მედიკალის“ სასაქონლო ზედნადები №ე-0987693332 და საგადახდო დავალება №0077 (სამედიცინო ინვენტარზე);
- სს „გეფას“ წინასწარი კალკულაცია №2386 და ელექტრონული საგადახდო დავალება №0097 მედიკამენტების შესყიდვაზე;
- ექიმის სამოქმედო გეგმა
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი
- ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/16-ით დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (პროექტი)“;
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 15/05/2026 წლის წერილი №MES 1 26 0000575074 და სკოლის 22/05/2026 წლის საპასუხო წერილი №03/08;
- შპს „ჯეიბიეს სკოლასა“ და შპს „დაცვის სამსახური პანტერას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება დაცვით მომსახურებაზე (02/03/2026);
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2/62 უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება №2/38 მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;
- „სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები“
- შპს „ჯეიბიეს სკოლის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები“
- სკოლის დირექტორის 16.03.2026 წლის ბრძანება №2/35 რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურების დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დირექტორის 16.03.2026 წლის ბრძანება №2/36 რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/39-ით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/60-ით დამტკიცებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/55-ით დამტკიცებული შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს „ჯეიბიეს სკოლა“ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერით (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.14.03.040.111, მომზადების თარიღი: 07/04/2026) დგინდება, რომ აღნიშნული უძრავი ქონების (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N34, ნაკვეთი N3; დაზუსტებული ფართობი: 1300.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის საერთო ფართი: 807.50 კვ.მ.) მესაკუთრეს წარმოადგენს ფონდი „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი“ (ს/ნ 204888130). აღნიშნულ ქონებაზე 2036 წლის 7 ივლისამდე რეგისტრირებულია იჯარის უფლება მოიჯარის — შპს „ჯეიბიეს აკადემიის“ (ს/ნ 405513644) სასარგებლოდ. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილია 2026 წლის 7 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების ქვეიჯარის ხელშეკრულება“, რომლის თანახმად შპს „ჯეიბიეს აკადემია“ (ქვეიჯარით გამცემი) მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე (ხელშეკრულების პუნქტი 1.6), დროებით სარგებლობაში გადასცემს აღნიშნულ უძრავ ქონებას შპს „ჯეიბიეს სკოლას“ (ქვემოიჯარე). ხელშეკრულების თანახმად, ქონება სკოლას გადაეცემა 2026 წლის 7 აპრილიდან 2036 წლის 7 ივლისამდე — 10 (ათი) წლისა და 3 (სამი) თვის ვადით. რაც იძლევა გარანტიას სკოლა, ავტორიზაციის პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით. საჯარო რეესტრის ამონაწერით

(№34826392) დასტურდება, რომ ქვეიჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაციის პროცესი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილია სააგენტოში.

შენობის აზომვითი ნახაზების შესწავლით დგინდება, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ შენობაში სრულფასოვნად იფუნქციონირებს შემდეგი ინფრასტრუქტურული ერთეულები: 6 (ექვსი) საკლასო ოთახი , გათვლილი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის, ბუნებრივი განათებით, სპორტული დარბაზი, შესაბამისი მყარი იატაკითა და სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი ეკოლოგიურად უსაფრთხო ინვენტარით, სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად (აღჭურვილი შესყიდული აპარატურითა და მედიკამენტებით); კვების ბლოკი / სასადილო სივრცე — მოწყობილი ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით; ბიბლიოთეკის სივრცე, წიგნადი ფონდითა და ინტეგრირებული ელექტრონული პლატფორმა „Librarika“-თი; სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები (სველი წერტილები) — გამიჯნული გოგონებისა და ბიჭებისთვის, ასევე სრულად ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე (შშმ) პირთათვის. კომპიუტერული კლასი / ციფრული ლაბორატორია — სპეციალიზებული სივრცე, რომელიც განკუთვნილი იქნება მოსწავლეთათვის ციფრული წიგნიერების, კოდირებისა და STEM მიმართულებების ასათვისებლად. სივრცე გათვლილია 20 სამუშაო ადგილზე. სასკოლო ეზო — სკოლას გააჩნია ძალიან მყუდრო, გამწვანებული და მოწყობილი შიდა ეზო, რომელიც მთელ პერიმეტრზე შემოსაზღვრულია მყარი ღობით. ეზო აღჭურვილია გარე ავეჯით და ქმნის იდეალურ, უსაფრთხო გარემოს მოსწავლეთა დასვენებისა და არაფორმალური აქტივობებისთვის.

სკოლას შეძენილი აქვს 120 ცალი ინდივიდუალური სასკოლო მერხი და სკამი, 7 ცალი პედაგოგის კათედრა/საოფისე მაგიდა, 3 ცალი საგორავებელი მაგიდა პროექტორისთვის, 22 ერთეული ნოუთბუქი (ლეპტოპი) , 20 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, 6 ერთეული ინტერაქტიური ჭკვიანი დაფა საკლასო ოთახებში მულტიმედიური სწავლების დასანერგად; 1 ერთეული ლაზერული პრინტერი, 1 ერთეული პორტატული პროექტორი.

სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებისა და პრაქტიკული/STEM სწავლების ხელშესაწყობად სკოლას შესყიდული აქვს სპეციალიზებული რესურსები: რობოტიკის, ელექტრონიკისა და კოდირების თანამედროვე საგანმანათლებლო მოდულები. მიზნობრივი საგანმანათლებლო და თვალსაჩინო რესურსები.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლას შექმნილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლები. ვიზიტის პერიოდში შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რის გამოც ინფრასტრუქტურა სრულად დასრულებული არ იყო. ამასთან, სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც შენობის სარემონტო და აღჭურვის სამუშაოების დასრულება, მათ შორის სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის სრულყოფილად მოწყობა, დაგეგმილია 2026 წლის 1 სექტემბრამდე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები შესრულებულია. კერძოდ, სკოლის ინფორმაციით, დასრულებულია შენობაში მიმდინარე სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები, მოწყობილია საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია და სპორტული დარბაზი და შესაბამისი სივრცეები აღჭურვილია ავეჯით, ტექნიკითა და სასწავლო ინვენტარით. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა განახლებული ფოტომასალა და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით დასტურდება, რომ

სკოლამ დამატებით შეიძინა სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური რესურსები, მათ შორის 30 ერთეული პერსონალური კომპიუტერი და 6 ერთეული ინტერაქტიური ჭკვიანი დაფა.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეუსაბამობა აღმოფხვრილია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით 3.5.1.1 ინდიკატორთან მიმართებით განსაზღვრული ღონისძიება შესრულებულია. აღნიშნულის საფუძველზე ინდიკატორის შეფასება შეიცვალა — „მეტწილად შეესაბამება“ შეფასებიდან „შეესაბამება“ შეფასებით.

3.5.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობის პრინციპებს, უფლებამოსილ პირებსა და შესაბამის პროცედურებს. დოკუმენტი ეფუძნება თანაბარი ხელმისაწვდომობის, მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობისა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის პრინციპებს, რაც ქმნის მატერიალური რესურსების სამართლიანი და ეფექტიანი გამოყენების ინსტიტუციურ საფუძველს. წესით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის სხვადასხვა სივრცითა და რესურსით სარგებლობის პირობები. კერძოდ, მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომია ტექნოლოგიების ლაბორატორია, ბიბლიოთეკის სივრცე, სპორტული ინფრასტრუქტურა, სამედიცინო კაბინეტი, საკლასო ოთახები, ასევე სასწავლო პროცესისათვის საჭირო სხვადასხვა მატერიალური და ელექტრონული რესურსი. თითოეული სივრცის შემთხვევაში დადგენილია სარგებლობის მიზანი, წესი, პასუხისმგებლობები და რესურსების დაცვის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს მათი ორგანიზებულად და მიზნობრივად გამოყენებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის ინფრასტრუქტურა და დაადგინა, რომ შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტი. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობის პირობები, ხელმისაწვდომობის პრინციპები, პასუხისმგებელი პირები და რესურსების გამოყენების წესი. აღნიშნული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების გამოყენება განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებზე დაფუძნებული წესების შესაბამისად.

3.5.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

შპს „ჯეიბიეს სკოლის“ მიერ წარმოდგენილი არქიტექტურულ-საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მულტიფუნქციური სივრცის მოწყობა, რომელიც მორგებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე. ვინაიდან შენობაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, სკოლამ წინსწრებად და სრულყოფილად უზრუნველყო სივრცის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი როგორც სამართლებრივი/ორგანიზაციული, ისე მატერიალური და წიგნადი რესურსების მობილიზება. კერძოდ, დაწესებულებაში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის სივრცით სარგებლობის წესი“. დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს მკითხველთა რეგისტრაციის, წიგნების გაცემა-დაბრუნების ვადებს, წიგნადი ფონდის დაზიანების პრევენციისა და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესებს. საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციასა და მართვას განახორციელებს სკოლის ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. სკოლა სარგებლობს საბიბლიოთეკო მართვის საერთაშორისო ელექტრონული პლატფორმით **„Librarika“**. სკოლას აქვს მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი, რაც დასტურდება ფინანსური და სამართლებრივი დოკუმენტაციით. შპს „ელვა.ჯი“-სთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პერიოდულ გამოცემათა რეგულარულ მიწოდებას სკოლის მისამართზე. ვიზიტის პერიოდში შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რის გამოც საბიბლიოთეკო სივრცე არ იყო მოწყობილი. ამასთან, სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც შენობის სარემონტო და აღჭურვის სამუშაოების დასრულება, მათ შორის საბიბლიოთეკო სივრცის ინფრასტრუქტურის სრულყოფილად მოწყობა დაგეგმილია 2026 წლის 1 სექტემბრამდე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ამ მიმართულებით განხორციელებულ მნიშვნელოვან სამუშაოებს. კერძოდ, სკოლის განმარტებით, საბიბლიოთეკო სივრცე მოწყობილია შესაბამისი ავეჯით და შექმნილია სამკითხველო ზონა. წარმოდგენილი ფოტომასალაც ადასტურებს, რომ ვიზიტის დროს არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა შეიცვალა და ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი სივრცე უკვე ფიზიკურად მოწყობილია. ამასთან, სკოლამ საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზების მიზნით დანერგა ელექტრონული საბიბლიოთეკო პროგრამა, ხოლო სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, წიგნადი ფონდი დამუშავებულია და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე მიმდინარეობს მისი დალაგება საბიბლიოთეკო სივრცეში. ამდენად, არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მნიშვნელოვანწილად განხორციელებას და ვიზიტის დროს დაფიქსირებული გარემოების არსებით ცვლილებას, თუმცა პროცესი ჯერ არ დასრულებულა, შესაბამისად შეფასება არ შეიცვალა.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 1 სექტემბრამდე, უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნების განთავსება (თაროებზე დალაგება)

3.5.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

შპს „ჯეიბიეს სკოლის“ შენობის ვიზუალური დათვალიერებით, საპროექტო დოკუმენტაციისა და მატერიალური შესყიდვების ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულება წინსწრებად გეგმავს და უზრუნველყოფს უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს პრინციპების რეალიზებას. კერძოდ, შენობა აღჭურვილია პანდუსით, ფართო კარებებითა და ლიფტით, შესყიდულია სპეციალიზებული მექანიკური ეტლი გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთათვის. რაც ადასტურებს სკოლის მზაობას უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური გარემოს პრინციპების დასაცავად.

სარემონტო სამუშაოების გამო, არ იყო დამთავლებული ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობა, თუმცა სკოლას წინსწრებად აქვს შესყიდული და მობილიზებული სპეციალიზებული მოწყობილობები (კედელზე დასამონტაჟებელი ლითონის საყრდენი სახელურები, მყარი დამცავი მექანიზმები და ადაპტირებული ნიჟარები/უნიტაზები), რაც შეესაბამება პროექტით გათვალიწინებულია ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის პრონციპს.

ინკლუზიური სერვისების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის სკოლას გააჩნია არა მხოლოდ მატერიალური ეტლი (შესყიდული შპს „ჯეომედის საექთნო სახლიდან“), არამედ სკოლის დირექციის მიერ ოფიციალურად არის განსაზღვრული და დანიშნული კონკრეტული პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ეტლით მომსახურება, გადაადგილების ასისტირება და ამ მექანიკური საშუალების მუდმივი გამართულობა.

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს სსსმ და სსსმ-სტატუსის მქონე მოსწავლეთა გამოვლენის, პირველადი ინტერვენციისა და ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების ეტაპებს.

მიუხედავა იმისა, რომ დაწესებულება ავლენს ინსტიტუციურ მზაობას ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, (მატერიალური რესურსების ფლობა:ლიფტი, პანდუსი, სველი წერტილის სპეციალიზებული მოწყობილობები, მექანიკური ეტლი, პასუხისმგებელი პირის გამოყოფა და გამართული სამართლებრივი მექანიზმები), საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში შენობაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო არ იყო მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილები, შესაბამისად სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ დამატებით წარმოადგინა განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ამსახველი მტკიცებულებები. მათ შორის ჩვენ მიერ უკვე განხილული ფოტომასალით დასტურდება, რომ დასრულდა სველი წერტილების მოწყობა და მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილიც. ამდენად, ის ინფრასტრუქტურული ელემენტი, რომელიც ვიზიტის დროს ჯერ მხოლოდ პროექტით, წინასწარ შემენილი აღჭურვილობითა და სკოლის მზაობით დასტურდებოდა, არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე უკვე ფაქტობრივად მოწყობილი სახით არის წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და დადებითად შეაფასა ვიზიტის შემდგომ ინკლუზიური ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიზნით განხორციელებული სამუშაოები. შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასებაც და გადადის სრულ შესაბამისობაში.

3.5.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურის დაგეგმვა ეფუძნება არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზების საჭიროებებს, არამედ სკოლის, როგორც სოციო-კულტურული სივრცის განვითარების კონცეფციას. სკოლის მისია, ხედვა და სტრატეგიული დოკუმენტები ინფრასტრუქტურას განიხილავს, როგორც გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ, ემოციურ, ფიზიკურ და კულტურულ განვითარებას, თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას.
სკოლას გააჩნია მყუდრო, გამწვანებული და მოწყობილი შიდა ეზო, რომელიც აღჭურვილია გარე ავეჯით და ქმნის იდეალურ, უსაფრთხო გარემოს მოსწავლეთა დასვენებისა და არაფორმალური აქტივობებისთვის. ინფრასტრუქტურული პროექტით გათვალისწინებულია მრავალფუნქციური სასწავლო და საერთო სარგებლობის სივრცეები, რომლებიც განკუთვნილია როგორც სასწავლო პროცესის, ისე სპორტული, შემეცნებითი, კულტურული, STEM აქტივობების, Wellbeing-ის პროგრამებისა და სასკოლო საზოგადოების ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებისთვის. წარმოდგენილი პროექტი ადასტურებს, რომ სივრცეების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მათი მრავალმიზნობრივი გამოყენების პრინციპი, რაც ქმნის პირობებს სკოლის, როგორც ღია და თანამშრომლობაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებისთვის.

3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/61-ით დამტკიცებული-მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერი უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.03.040.111);
- საჯარო რეესტრის განცხადების მიღების ბარათი №34826392 ქვეიჯარის რეგისტრაციაზე (07/04/2026);
- უძრავი ქონების ქვეიჯარის ხელშეკრულება შპს „ჯეიბიეს აკადემიასა“ და შპს „ჯეიბიეს სკოლას“ შორის (07/04/2026);
- საპროექტო მომსახურების ხელშეკრულება №001/1704 შპს „იდააფ არქიტექტორებთან“ (17.04.2026), შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები და საბანკო საგადახდო დავალებები (№0359, №0432);
- სახანძრო სიგნალიზაციისა და საევაკუაციო გახმოვანების სისტემების საპროექტო ნახაზები და განმარტებითი ბარათები (28/05/2026);
- ტექნიკის ნასყიდობის ხელშეკრულება №080426/1/1 შპს „მბს“-სთან (08.04.2026);
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას შექმნილი აქვს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციის მიხედვით, უზრუნველყოფილია 22 ერთეული ნოუთბუქი (ლეპტოპი) , 20 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, 6 ერთეული ინტერაქტიური ჭკვიანი დაფა საკლასო ოთახებში მულტიმედიური სწავლების დასანერგად; 1 ერთეული მრავალფუნქციური ლაზერული პრინტერი და 1 ერთეული ფერადი მრავალფუნქციური პრინტერი. ასევე 1 ერთეული პორტატული პროექტორი. აღნიშნული ტექნიკური ბაზა ქმნის როგორც სასწავლო პროცესის, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მატერიალურ საფუძველს.

კომპიუტერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი განსაზღვრავს საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების უსაფრთხო, მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. გათვალისწინებულია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი, უსადენო ქსელი, ელექტრონული სასწავლო პლატფორმების (Google Classroom), ვიდეოკონფერენციის სისტემების (Google Meet, Zoom), ინტერაქტიური საგანმანათლებლო რესურსების (Kahoot, Quizizz, Canva, GeoGebra), ღრუბლოვანი საცავების (Google Drive, OneDrive, SharePoint), მართვის საინფორმაციო სისტემის (**eSchool.emis.ge**), ელექტრონული ჟურნალისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ითვალისწინებს ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენების წესებსა და თანამშრომელთა პროფესიულ მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს ციფრული რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

ექსპერტთა ჯგუფი შეფასებით, სკოლის საკუთრებაში არსებული ციფრული რესურსები, ინფორმაციული თავისი მოცულობით, ტექნიკური აღჭურვილობითა და დაგეგმილი ციფრული რესურსების გამოყენების სისტემით უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულფასოვან, თანამედროვე და ეფექტიან განხორციელებას.

3.6.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მკაფიო წესები, რომლებიც განსაზღვრავს როგორც მოსწავლეთა, ისე პერსონალის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, ტექნიკური რესურსებით სარგებლობის პირობებს, ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნებსა და ციფრული რესურსების გამოყენების სტანდარტებს. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო, თანასწორ და მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში.
სკოლის ციფრული რესურსები ქმნის როგორც მოსწავლეების, ისე პერსონალისათვის თანამედროვე ტექნოლოგიურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის საკმარის საფუძველს.
ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ტექნიკური რესურსები, მათი რაოდენობა, გამოყენების მარეგულირებელი წესები და ციფრული პლატფორმების ხელმისაწვდომობა სრულად პასუხობს **3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი
- ციფრული ტექნიკის შეძენის მასალები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და არეგულირებს დოკუმენტბრუნვის, შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის რეგისტრაციის, განხილვის, შესრულების კონტროლის, შენახვისა და არქივირების ერთიან პროცედურებს. წესი ასევე განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტების გამოყენების, ელექტრონული ხელმოწერის, ბრძანებების, ოქმების, წერილების, ცნობებისა და სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტების მომზადებისა და გაფორმების წესს, ასევე დოკუმენტების რეგისტრაციისა და შესრულების კონტროლის მექანიზმებს. საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ადმინისტრაციული მენეჯერი.

სკოლას დანერგილი აქვს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა EduDocs, რომლის გამოყენებაც გათვალისწინებულია საქმისწარმოების წესით. წარმოდგენილი ხელშეკრულებით დასტურდება, რომ სკოლას უზრუნველყოფილი აქვს აღნიშნული ელექტრონული სისტემის ლიცენზირებული გამოყენება შიდა ადმინისტრაციული დოკუმენტების წარმოებისა და დოკუმენტბრუნვის პროცესის სამართავად.

გარდა ამისა, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რაც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცესის ორგანიზებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დოკუმენტბრუნვის გამართულ, გამჭვირვალე და კონტროლირებად განხორციელებას როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვის პროცესში გათვალისწინებულია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. სკოლაში დანერგილია EduDocs-ის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება ადმინისტრაციული დოკუმენტების რეგისტრაცია, მართვა, შესრულების კონტროლი და უსაფრთხო შენახვა.

საქმისწარმოების წესი ასევე განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტების, ელექტრონული ხელმოწერისა და ოფიციალური ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენების წესებს, რაც ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან და გამჭვირვალე განხორციელებას უწყობს ხელს.

ამასთანავე, სკოლა აქტიურად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს საზოგადოების ინფორმირების, კომუნიკაციისა და სკოლის საქმიანობის წარმოსაჩენად.

მარკეტინგის მენეჯერის ფუნქციებით განსაზღვრულია სკოლის ვებგვერდისა და სოციალური მედიის ადმინისტრირება, ციფრული მარკეტინგული კამპანიების განხორციელება და ელექტრონული საინფორმაციო რესურსების განვითარება, რაც ციფრული მართვის სისტემის მდგრად ფუნქციონირებას უწყობს ხელს.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ადმინისტრაციული მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ წარმოებას, ინფორმაციის ეფექტიან მართვას, ციფრულ კომუნიკაციასა და ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალე და ეფექტიან განხორციელებას.
3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

შპს ჯეიბიეს სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, შესაბამისად, სკოლას არ აქვს სრულყოფილად წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. სკოლა ინფორმირებულია იმ ვალდებულებების შესახებ, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიაზრებს და ავტორიზებული დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემდეგ აცხადებს მზაობას შექმნას სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირებასა და გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია ადმინიტრაციული მენეჯერი. აღნიშნულიდან გამომდინარე **3.6.2.3 ინდიკატორი ვერ ფასდება**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

შპს ჯეიბიეს სკოლა არ არის ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რაიმე სახის ანგარიშგება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან არ მომხდარა. ამასთან, სკოლა ინფორმირებულია იმ ვალდებულებების შესახებ, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიაზრებს და გეგმავს თანამშრომლობას ყველა უწყებასთან, სკოლის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ორგანიზაციის განვითარების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.6.2.4 ინდიკატორი ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/5-ით დამტკიცებული-საქმისწარმოების წესი

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/37-საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაზე გაფორმებული ხელშეკრულება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, მშობლებთან ურთიერთობის დებულება, დამრიგებლის დებულება, სკოლის ოფიციალური ვებგვერდი, სოციალური ქსელის (Facebook) ოფიციალური გვერდი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

დოკუმენტაციისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას შექმნილი აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის ორგანიზებული სისტემა, რომელიც ეფუძნება ინფორმაციის სანდოობის, გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობისა და უკუკავშირის პრინციპებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით განსაზღვრულია როგორც კომუნიკაციის მიზნები, ისე ვებგვერდისა და სოციალური ქსელების გამოყენების წესი, მათზე განსათავსებელი ინფორმაციის სახეები, ინფორმაციის განახლების პრინციპები, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები.

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი https://jbsschool.ge/ და Facebook-ის ოფიციალური გვერდი. აღნიშნული პლატფორმები უზრუნველყოფს როგორც სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას, ისე დაინტერესებულ პირებთან ეფექტიან კომუნიკაციას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, ვებგვერდისა და სოციალური ქსელების გარდა, სკოლა კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონულ ჟურნალს, სატელეფონო კომუნიკაციას, მოკლეტექსტურ შეტყობინებებს, ღია კარის დღეებს, მშობელთა შეხვედრებს, სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო შეხვედრებსა და მიზნობრივ კითხვარებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებისა და უკუკავშირის მიღების მრავალფეროვან შესაძლებლობებს. ამასთან, დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ მიღებული უკუკავშირი გამოიყენება სკოლის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში.

მშობლებთან ურთიერთობის დებულებით დეტალურად არის გაწერილი მშობელთა ინფორმირების ფორმები, სიხშირე და პასუხისმგებელი პირები.

მშობლები ინფორმაციას იღებენ ელექტრონული ჟურნალის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო კომუნიკაციის, ინდივიდუალური შეხვედრებისა და მშობელთა კრებების საშუალებით. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და მათ მონაწილეობას სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებში.

დამრიგებლის დებულებით კლასის დამრიგებელს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის, მოსწავლეთა პროგრესის, საჭიროებებისა და სასკოლო პროცესების შესახებ ინფორმაციის სისტემატურ გაზიარებაში. ამასთან, დამრიგებელი უზრუნველყოფს შიდასასკოლო დოკუმენტების გაცნობას, ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებასა და მოსწავლის განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის დროულ კომუნიკაციას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შექმნილი აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის ეფექტიანი, სტრუქტურირებული და მდგრადი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალობასა და დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტ კომუნიკაციას.

3.6.3.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება სანდოობის, სიზუსტის, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით განსაზღვრულია, რომ სკოლის სახელით გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს გადამოწმებული, ზუსტი, კანონმდებლობასთან შესაბამისი და ასახავდეს სკოლის საქმიანობის რეალურ მდგომარეობას. ინფორმაციის გამოქვეყნება ხორციელდება მხოლოდ ოფიციალური საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, რაც ამცირებს არაზუსტი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელების რისკს.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელები, სადაც განთავსებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, ავტორიზაციისათვის წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და საგანმანათლებლო კონცეფციას. ვებგვერდზე და სოციალურ მედიაში ასახულია ინფორმაცია სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გარემოს, დამატებითი აქტივობების, ადმინისტრაციული პროცესებისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას სანდო და გადამოწმებული მონაცემების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში განსაზღვრულია მარკეტინგის მენეჯერის პოზიცია, რომლის ფუნქციებში შედის სკოლის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების მართვა, ვებგვერდისა და სოციალური მედიის ადმინისტრირება, საინფორმაციო მასალების მომზადება და გამოქვეყნება, ასევე დირექტორთან შეთანხმებით საკომუნიკაციო სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება. აღნიშნული ქმნის დამატებით ინსტიტუციურ გარანტიას, რომ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია იქნება ერთიანი, სანდო, გადამოწმებული და შესაბამისი სკოლის ოფიციალურ პოლიტიკასთან.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლას შექმნილი აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო, უტყუარი და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას.

3.6.3.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან უკუკავშირის მიღებისა და მისი გამოყენების სისტემური მექანიზმები. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით განსაზღვრულია, რომ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით მიღებული ინფორმაცია და უკუკავშირი ექვემდებარება ანალიზს და გამოიყენება სკოლის საქმიანობის შეფასების, თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. ამასთან, დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გეგმავს შესაბამის გაუმჯობესების ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უწყვეტი განვითარების პრინციპის განხორციელებას.

სკოლა უკუკავშირის მისაღებად იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო საშუალებებს, მათ შორის ოფიციალურ ვებგვერდს, სოციალურ ქსელებს, ელექტრონულ ჟურნალს, ელექტრონულ ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, მოკლეტექსტურ შეტყობინებებს, მშობელთა შეხვედრებს, ღია კარის დღეებსა და მიზნობრივ კითხვარებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოსაზრებების სისტემურ შეგროვებასა და მათი ანალიზის შესაძლებლობას.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის კითხვარები, რომლებიც მოიცავს სასწავლო პროცესის, უსაფრთხოების, კომუნიკაციის, სასკოლო სერვისების, შეფასების სისტემისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების შეფასებას. აღნიშნული ინსტრუმენტები ქმნის საფუძველს, რომ მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იყოს სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურებების შემდგომი განვითარებისათვის.

მშობლებთან ურთიერთობის დებულებითა და დამრიგებლის დებულებით ასევე განსაზღვრულია მშობლებთან რეგულარული კომუნიკაციის, ინდივიდუალური შეხვედრების, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირის მუდმივ ცირკულაციას სკოლასა და სასკოლო საზოგადოებას შორის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას შექმნილი აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის შეგროვების, ანალიზისა და მისი საფუძველზე საქმიანობის გაუმჯობესების ეფექტიანი მექანიზმები.

3.6.3.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს ოფიციალური https://jbsschool.ge/ ვებგვერდი. ვებგვერდზე ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი სკოლაში წარიმართება ქართულ ენაზე.

3.6.3.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებგვერდის დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ვებგვერდი ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის სკოლის საქმიანობის შესახებ ძირითადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.
ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, საგანმანათლებლო კონცეფციის, სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, საკონტაქტო ინფორმაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ შეფასების ეტაპისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისად, ინდიკატორით გათვალისწინებული გარკვეული ინფორმაცია, მათ შორის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშები, ობიექტური გარემოებების გამო ჯერ ვერ იქნება წარმოდგენილი. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებისა და რეგულარული განახლების მექანიზმები სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეფასების ეტაპისთვის სკოლის ოფიციალური ვებგვერდი აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს, ხოლო ფუნქციონირების დაწყების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციის სრული მოცულობით განთავსება და პერიოდული განახლება.

3.6.3.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/64-ით დამტკიცებული -დამრიგებლის დებულება
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/4-ით დამტკიცებული -სკოლის დებულება
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/15-ით დამტკიცებული -მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/21-ით დამტკიცებული -საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- სკოლის ვებგვერდი: https://jbsschool.ge/

- სკოლის სოციალური ქსელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, 2026 წლის ბიუჯეტი და ფინანსური მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ფინანსური დაგეგმვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული მიზნებისა და აქტივობების განხორციელებასთან. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიმართულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსების დაგეგმვით, ხოლო ბიუჯეტი ასახავს როგორც შემოსავლების წყაროებს, ისე აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს.
წარმოდგენილი 2026 წლის ბიუჯეტი მოიცავს პერსონალის შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, პროფესიული განვითარების, შრომის უსაფრთხოების, ადმინისტრაციული და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას, რაც ქმნის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ფინანსურ საფუძველს.
ამასთან, ბიუჯეტი შედგენილია წლიური და კვარტალური დაგეგმვის პრინციპით, რაც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ფინანსური რესურსების ეტაპობრივი განაწილება და მათი გამოყენების მონიტორინგი სამოქმედო გეგმის შესრულების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ შეფასების ეტაპისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისად, ფინანსური რესურსების პრაქტიკული გამოყენებისა და ბიუჯეტის შესრულების შეფასება შეუძლებელია. თუმცა წარმოდგენილი ბიუჯეტი და სამოქმედო გეგმა ადასტურებს, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების ფინანსურ საფუძველს, რაც ინდიკატორის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

3.7.1.1.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს ფინანსური დაგეგმვის, ბიუჯეტის შემუშავების, ფინანსური რესურსების განკარგვის, შესრულების მონიტორინგის, ფინანსური ანგარიშგებისა და ფინანსური რისკების მართვის მექანიზმებს.

პოლიტიკა ეფუძნება ფინანსური დაგეგმვის, მიზნობრივი რესურსების გამოყენების, ფინანსური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს და მიზნად ისახავს სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფას.

ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცედურები, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საპროგნოზო რაოდენობა, სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება, დამფუძნებლის ფინანსური მხარდაჭერა, წინა წლების ფინანსური მონაცემები, სტრატეგიული პრიორიტეტები და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. ამასთან, ბიუჯეტის შემუშავება ხორციელდება სკოლის დირექტორის, დამფუძნებლისა და ბუღალტრის თანამშრომლობით, რაც უზრუნველყოფს ფინანსური დაგეგმვის პროცესის კოლეგიურობასა და რეალისტურობას.

დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ფინანსური მონიტორინგის სისტემა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ და სემესტრულ ანალიზს, ფაქტობრივი და დაგეგმილი მაჩვენებლების შედარებას, გადახრების გამოვლენასა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტირების განხორციელებას. გარდა ამისა, პოლიტიკა ითვალისწინებს ფინანსური რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის მექანიზმებს, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებელი აუდიტისა და გარე პროფესიული კონსულტაციის გამოყენების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ფინანსური მართვის პოლიტიკა ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგისა და რისკების მართვის გამართული სისტემა, რომელიც ქმნის სკოლის მდგრადი ფუნქციონირების ფინანსურ საფუძველს.

3.7.1.1.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/9-ით დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/51-ით დამტკიცებული 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/66-ით დამტკიცებული -ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

შპს ჯეიბიეს სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებული შიდა რეგულაციები და პრევენციული ღონისძიებები გაწერილია შემდეგ დოკუმენტებში:

- ✓ მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (დირექტორის ბრძანება N 2/20; 02/03/2026)
- ✓ სკოლის შინაგანაწესი (თავი VI; XII);
- ✓ მოსწავლეთა უფლებების დაცვის პოლიტიკა (დირექტორის ბრძანება N 2/63; 06/04/2026)

- ✓ სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- ✓ ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები.

მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია მედიაციის მიზნები, როლი, ეტაპები, მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ განსახორციელებელი ღონისძიებები და სხვა.
შინაგანაწესი ეფუძნება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის პრინციპს და განსაზღვრავს სკოლისა და მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის უფლებებს.
მოსწავლეთა უფლებების დაცვის პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია საჩივრების განხილვის დეტალური წესი (რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 10 მარტს N 2/27 ბრძანებით).
სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია მხარეთა უფლება - მოვალეობები.
აღნიშნული სისტემური მიდგომები ადასტურებს, რომ სკოლა შიდა რეგულაციებში გაწერილი ვალდებულებების შესრულებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას.
4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებისა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის შიდა რეგულაციები მოსწავლეთა უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ (რაც მათი ეფექტიანი აღსრულების საფუძველს ქმნის). სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, ამ მიზნით, სკოლის შინაგანაწესი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, მოსწავლეთა უფლებების შესახებ ადმინისტრაციული მენეჯერის ხელმძღვანელობით ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები, ინფორმაცია აისახება მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და სხვა.
4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

შპს ჯეიბიეს სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების სამუშაო ვერსია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას არა მხოლოდ მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ, არამედ ინფორმირებულ შეთანხმებას სხვადასხვა რეგულაციებზე (პერსონალურ მონაცემებზე, შინაგანაწესის გაცნობაზე და ა.შ.). სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმდება ხელშეკრულება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და სკოლის უფლებებისა და მოვალეობების, გადახდის პირობების, ხელშეკრულების მოქმედების ვადების, შეწყვეტის პირობების და სხვა ძირითადი საკითხების შესახებ. ხელშეკრულების პირობები გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობლობასთან. **4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობლებთან გასაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის პოლიტიკა
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი
- ბრძანება N 2/27 (10/03/2026) განცხადების/საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შესახებ შპს ჯეიბიეს სკოლის მიერ შემუშავებული პოლიტიკა გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, დოკუმენტში - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (ბრძანება N 2/47; 23/03/2026) - გაწერილია თითოეული პროცესის ეტაპები და განსახორციელებელი აქტივობები. მოსწავლის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენლთან დასადები ხელშეკრულების მე - 5 მუხლით განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი. საფეხურის დაძლევის პირობები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში (სასკოლო კურიკულუმში). ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სკოლიდან ამორიცხვის და ა.შ. განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

4.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

შპს ჯეიბიეს სკოლა ახალად დაფუძნებულია, ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ჯერ არა აქვს, შესაბამისად ამ ეტაპზე **ვერ ფასდება** თუ როგორ იცავს სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს, თუმცა შემუშავებული რეგულაციები, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ადასტურებს სკოლის მზაობას, პროცესები განახორციელოს სკოლის მიერ განსაზღვრული წესისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

შპს ჯეიბიეს სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების გაცნობით დასტურდება, რომ დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, სკოლის ფილოსოფიის გათვალისწინებით, 2026-2027 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმით და 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს მომსახურების სპეციფიკა, სახეები, პირობები და პროგრამები. დაინტერესებულ პირთათვის აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის განთავსებას სკოლის ვებ გვერდზე, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა. ინფორმაცია მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების ოდენობისა და გადახდის ვადების შესახებ გაწერილია მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების წარმოდგენილ ნიმუშებში. სკოლის შიდა პოლიტიკა მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ განსაზღვრულია შინაგანაწესით.

4.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

შპს ჯეიბიეს სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და სპეციფიკა, ინფორმაცია სკოლის რესურსების შესახებ საჯაროდაა ხელმისაწვდომი და განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. სასკოლო პოლიტიკა არადისკრიმინაციულია, ხელშემწყობი გარემოა სსსმ მოსწავლეთათვის და დაცულია თანასწორობის პრინციპები.

4.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- 2026-2027 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ბრძანება N 2/27 (10/03/2026) განცხადების/საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

შპს ჯეიბიეს სკოლას სასკოლო საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციისა და მოსწავლის ახალ გარემოსთან ეფექტური ინტეგრაციის მიზნით შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი (ბრძანება N 2/45; 23/03/2026), რომელშიც გაწერილია დაწყებითი საფეხურის ფარგლებში პირველკლასელთა, მობილობით გადმოსული მოსწავლეთა, სსსმ მოსწავლეთა, წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნები. აღნიშნული დოკუმენტის მე-9 მუხლით განსაზღვრულია რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული სოციალიზაციისათვის. ფსიქოლოგთან გასაუბრებით დგინდება, რომ ადაპტაციის წესის შემუშავება მოხდა სკოლის ფსიქოლოგის ჩართულობით და გათვალისწინებულია ადაპტაციის ხელშემწყობი ძირითადი მექანიზმები. კერძოდ, დოკუმენტი აღწერს იმ სტრატეგიებსა და მიდგომებს, რომლებიც კლასის დამრიგებელმა და პედაგოგებმა უნდა გამოიყენონ ახალი მოსწავლის და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ეფექტური ადაპტაციისათვის.

4.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

შპს ჯეიბიეს სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისად, ადაპტაციის მექანიზმების პრაქტიკული ეფექტიანობის **შეფასება შეუძლებელია.** თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს ადაპტაციის პროცესის მკაფიოდ გაწერილი, სისტემური და მრავალმხრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერის ორგანიზებას სწავლის დაწყების მომენტიდან.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეფასების ეტაპისთვის სკოლა მზად არის უზრუნველყოს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან.

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული აქვს გახანგრძლივებული სწავლების რეჟიმი და ინდივიდუალური მეცადინეობები. მოსწავლეთა მხარდაჭერსა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სასკოლო კურიკულუმში (თავი 7) განსაზღვრულია სწავლების სტრატეგიები და მეთოდები. დიფერენცირებული სწავლების ფორმები, რემედიაციის პროგრამა, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დიაგნოსტიკური ანალიზი (და რისკების შემცირებისთვის შესაბამისი გეგმის შედგენა), მცირე ჯგუფში მუშაობა, მოდელირებასა და მაგალითებზე მუშაობა, ეტაპობრივი დავალებები, საჭიროების შემთხვევაში მშობლის ინფორმირება და ჩართულობა და სხვა სტრატეგიები განსაზღვრულია მე-8 თავში. წარმოდგენილი მასალების შესწავლით დგინდება,რომ სკოლას აქვს მზაობა, რათა მოსწავლემ მიიღოს სათანადო მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

4.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

შპს ჯეიბიეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს რიგი დოკუმენტების, რათა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, მაგალითად, სასკოლო კურიკულუმი, მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები (ბრძანება N2/57; 06/04/2026), შინაგანაწესი, მოსწავლეთა უფლებების დაცვის პოლიტიკა, გამცხადების/საჩივრის განხილვის წესი და სხვა.

4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5 სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით გეგმავს დამატებითი მომსახურებების შეთავაზებას. მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებით მიზნით შემუშავებულია მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები (ბრძანება N2/57 ; 06/04/2026). აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლეთა ინიციატივების განხილვა-განხორციელების წესი, ინიციატივის მხარდაჭერის შემდგომ მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, მათი ვალდებულებები და სხვა, რაც უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

4.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6 მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სპეციალურად შედგენილი კითხვარები, რომელთა გამოყენებითაც განახორციელებს მომხმარებლის კმაყოფილების კვლევას, შედეგების გათვალისწინებით განახორციელებს სხვადასხვა აქტივობას და SWOT ანალიზის საფუძველზე დასახავს მომსახურების ხარისხის გააუმჯობესების გზებს. ამ ეტაპზე **4.2.1.6 ინდიკატორი ვერ ფასდება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2026-2027 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- მედიაციის წესი
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი
- კითვარები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასკოლო კურიკულუმი, დამრიგებლის პროგრამა, JBS Wellbeing-ის კონცეფცია, STEAM მიმართულების აღწერა, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პროგრამა, მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი და სხვა მოსწავლეთა განვითარების მარეგულირებელი დოკუმენტები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, სკოლა პირველ ეტაპზე მხოლოდ დაწყებითი საფეხურის განხორციელებას გეგმავს, კურიკულუმი და მოსწავლის მხარდაჭერის სისტემა მოიცავს ისეთი აქტივობებისა და პროგრამების ერთობლიობას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური პოტენციალის გამოვლენას, თვითშემეცნების განვითარებასა და მომავალი პროფესიული არჩევანისათვის აუცილებელი უნარების ეტაპობრივ ჩამოყალიბებას.

სასკოლო კურიკულუმში ინტეგრირებულია STEAM მიმართულება, JBS Wellbeing პროგრამა, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების კომპონენტი, შემოქმედებითი და კვლევითი აქტივობები, მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები და დამრიგებლის პროგრამა, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას მრავალფეროვან გარემოში აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები, განივითარონ შემოქმედებითი, კვლევითი, კომუნიკაციური, თანამშრომლობითი და ლიდერული უნარები. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს კარიერული ცნობიერების ასაკის შესაბამისი განვითარებისათვის და შეესაბამება სკოლის ჰოლისტურ საგანმანათლებლო კონცეფციას.

ამასთან, დამრიგებლის პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესების, ძლიერი მხარეებისა და განვითარების საჭიროებების სისტემურ გაცნობას, მშობლებთან თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნული განვითარების მხარდაჭერას, რაც დამატებით უწყობს ხელს პროფესიული ორიენტაციისათვის მნიშვნელოვანი უნარებისა და ღირებულებების ფორმირებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას შექმნილი აქვს ასაკის შესაბამისი, კურიკულუმში ინტეგრირებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და მომავალი პროფესიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას.

4.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარების, ინტერესების, მიღწევებისა და შემდგომი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ სანდო და სისტემური ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება დამრიგებელს, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებთან რეგულარულ კომუნიკაციას, მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის განხილვასა და განვითარების შემდგომი მიმართულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

სკოლა პირველ ეტაპზე გეგმავს განახორციელოს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, კარიერული განვითარების შესახებ ინფორმირება წარმოდგენილია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად და ორიენტირებულია მათი ინტერესების, შესაძლებლობებისა და ნიჭის გამოვლენაზე, ასევე მშობლების ინფორმირებაზე შემდგომი საგანმანათლებლო განვითარების შესაძლო მიმართულებების შესახებ. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია სკოლის ჰოლისტურ საგანმანათლებლო კონცეფციასთან, რომლის მიზანია მოსწავლის პიროვნული, აკადემიური და სოციალური განვითარების მხარდაჭერა.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირების ორგანიზაციული და პროცედურული საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს ასაკის შესაბამისი, სანდო და განახლებული ინფორმაციის მიწოდებას მოსწავლის შემდგომი საგანმანათლებლო განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

4.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მომსახურების ხარისხის შეფასებისა და მიღებული შედეგების გაუმჯობესების პროცესში გამოყენების მექანიზმები. გარდა ამისა, დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, ჩართულობის, პროგრესის, დასწრებისა და მშობლებთან კომუნიკაციის მონიტორინგი, ხოლო მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი ითვალისწინებს მოსწავლეთა იდეების განხილვას, მხარდაჭერას და განხორციელებული ინიციატივების გაზიარებას. აღნიშნული ქმნის საფუძველს, რომ სკოლამ მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვისას.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ სკოლა შეფასების ეტაპზე ჯერ არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება ამ ეტაპზე **ვერ შეფასდება.** თუმცა წარმოდგენილი მექანიზმები ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს უკუკავშირის შეგროვების, ანალიზისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის ორგანიზაციული საფუძვლები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- ჯეიბიეს ველბიინგი-სასწავლო პროგრამა
- STEAM (სასწავლო პროგრამა) მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, ხელოვნება და მათემატიკა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

შპს ჯეიბიეს სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, რის საფუძველზეც ყველა მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა მიიღოს განათლება მისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინკლუზიური განვითარების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის მიხედვით განსაზღვრულია შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნები, ამოცანები, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა, მონიტორინგის განხორციელების მიმართულებები, ჯგუფის წევრთა უფლება-მოვალეობები და სხვა. ასევე განსაზღვრულია ინკლუზიური განვითარების პროცესის შიდა მონიტორინგის ჯგუფის სამოქმედო გეგმის შედგენის წესი. სკოლას სსსმ მოსწავლესთან წარმატებით მუშაობის მიზნით გათვალისწინებული აქვს შესაბამისი მატერიალური (სასწავლო რესურსები, ადაპტირებული სველი წერტილი, ადაპტირებული გარემო) და ადამიანური რესურსი (კვალიფიციური ფსიქოლოგი), რომელსაც გამოიყენებს სსსმ მოსწავლეთა სწავლების უზრუნველსაყოფად. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

4.2.3.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერისთვის შემუშავებული აქვს:

- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები;
- ინკლუზიური განვითარების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი;
- ინკლუზიური განვითარების პროცესის შიდა მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო გეგმა;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმები და ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

4.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები;
- ინკლუზიური განვითარების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი;
- ინკლუზიური განვითარების პროცესის შიდა მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო გეგმა;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შპს ჯეიბიეს სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ჩამონათვალი განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმით და მოიცავს შემდეგ პაკეტს: (გახანგრძლივებული სწავლება და კვების სერვისი I-VI კლასებში. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამის პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.
აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა, გაწერილია სასკოლო კურიკულუმში და ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე.
გარდა ამისა, როგორც სასკოლო კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსიით და სკოლის მენეჯმენტთან გასაუბრებით დასტურდება, დაწყებითი საფეხურის მიზნების მისაღწევად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს, ისე გაუთვალისწინებელ შემდეგ საგნებს:

- ჯეიბიეს ველბიინგი;
- სპორტი და ჯანსაღი ცხოვრება საგანში "სპორტი და ჯანსაღი ცხოვრება" ინტეგრირებულია შემდეგი მიმართულებები:კალათბურთი;
- ფეხბურთი;
- ფრენბურთი;
- ცეკვა.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით ფაკულტატურ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას მოსწავლეები სურვილის მიხედვით აირჩევენ შემდეგი შეთავაზებებიდან: STEAM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, ხელოვნება

და მათემატიკა) პროგრამის შემდეგი მიმართულებებით - მეცნიერება, ინჟინერია (ლეგო), ტექნოლოგიები (რობოტიკა, ტექნოლოგია და პროგრამირება), ხელოვნება (ხატვა, 3D პროექტირება და მოდელირება, ფერწერა), მათემატიკა.
სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რის საფუძველზეც,
4.2.4.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

შპს ჯეიბიეს სკოლის მენეჯმენტთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ვებ გვერდზე და მომსახურების გაწევა განხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესით, პირობებით და მოემსახურება მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური და მენტალური განვითარების ხელშეწყობას. სკოლის დირექტორის განმარტებით, გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მზად იქნება მშობლებთან კომუნიკაციისთვის. მშობლებს ექნებათ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირ მიმართონ სკოლის მენეჯმენტს კონკრეტული დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურების მიღების სურვილით.
4.2.4.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებების განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესებს დაარეგულირებს შინაგანაწესი (რომლის დაცვა სავალდებულო იქნება სკოლაში მყოფი ყველა პირისთვის). სკოლა აიღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებულებისთვის შექმნას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო.
4.2.4.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულება;

- სასკოლო კურიკულუმი;
- შინაგანაწესი;
- მშობელთან ურთიერთობის წესი;
- მშობლებთან გასაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების ჩამონათვალი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებით საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და განსაზღვრავს კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების ერთიან სისტემას. მეთოდოლოგია ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების (PDCA) ციკლს და განსაზღვრავს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპით.

დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების, ისე სასკოლო საზოგადოების ინტერესების, საჭიროებებისა და პრიორიტეტების ანალიზს.

მეთოდოლოგია კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილე მხარეებად განსაზღვრავს მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას, ხოლო გადაწყვეტილებების მიღებას სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემებისა და უკუკავშირის საფუძველზე აყალიბებს. ამასთან, დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლეთა აკადემიური შედეგების, თვითშეფასების, სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის, მასწავლებელთა თვითშეფასებისა და სხვა მტკიცებულებების გამოყენებას კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.

ამავე დროს, მეთოდოლოგია მკაფიოდ ანაწილებს პასუხისმგებლობებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულ ყველა რგოლს შორის. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხორციელდება მასწავლებელთა მიერ, განხილვა და შეთანხმება — დეპარტამენტების ფარგლებში, პროცესის ხარისხობრივ უზრუნველყოფას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, ხოლო სასკოლო კურიკულუმი პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის შემდეგ მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ. აღნიშნული უზრუნველყოფს როგორც მონაწილეობის, ისე კოლეგიური განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი მეთოდოლოგია ქმნის კურიკულუმის შემუშავების ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და განვითარების პრიორიტეტების

გათვალისწინებას, ხოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესს წარმართავს მონაწილეობითი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და სისტემური მიდგომით.

2.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, პრიორიტეტები და სკოლის საგანმანათლებლო კონცეფცია ასახულია კურიკულუმის როგორც შინაარსობრივ, ისე ორგანიზაციულ ნაწილში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და მათ რეალიზებას უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების, საგნობრივი შინაარსის, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების, შეფასების სისტემისა და სწავლა-სწავლების ორგანიზების გზით.

კურიკულუმში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებთან ერთად, განსაზღვრულია დამატებითი სავალდებულო საგნები — „JBS Wellbeing“ და „სპორტი და ჯანსაღი ცხოვრება“, რომლებიც სკოლის ფილოსოფიის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს და ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური, ემოციური და სოციალური კეთილდღეობის, პასუხისმგებლობის, თვითდისციპლინისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას. ამავე მიზანს ემსახურება STEAM პროგრამის, არაფორმალური განათლების, პროექტული, სპორტული, კულტურული და სახელოვნებო აქტივობების შეთავაზებაც, რომელთა შერჩევაც განხორციელდება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით.

სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა იკვეთება აგრეთვე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მოდელში. სკოლას თითოეული საგნისთვის განსაზღვრული აქვს ერთიანი კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც მოიცავს თემებს, სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, შეფასების დავალებებს, შემოქმედებით დავალებებს, სწავლა-სწავლების მეთოდებსა და სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების ერთიან დაგეგმვასა და სასწავლო შედეგებზე ორიენტირებულ პროცესს.

ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს შემოქმედებითი დავალების ერთიანი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს რეალურ ან რეალობასთან მიახლოებულ მაგალითებზე მუშაობას, პროდუქტის შექმნას, შეფასების კრიტერიუმებს, შეფასების რუბრიკებსა და მოსწავლის თვითშეფასების მექანიზმებს, რაც სწავლების პროცესს მოსწავლის ინტერესებზე, აქტიურ ჩართულობასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულს ხდის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სწავლა-სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების დოკუმენტი ასევე ადასტურებს, რომ კურიკულუმი ეფუძნება აქტიურ, კვლევით, თანამშრომლობით, პროექტულ, პრობლემაზე დაფუძნებულ და ინტერაქტიულ სწავლების მიდგომებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ფუნქციური უნარების განვითარებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლის კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები ასახულია სისტემურად და მრავალმხრივ. აღნიშნული ინტერესები რეალიზებულია როგორც სასწავლო შინაარსში, დამატებით საგანმანათლებლო პროგრამებში, სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, სწავლა-სწავლების მეთოდებსა და შეფასების სისტემაში, რაც უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო კონცეფციის პრაქტიკულ განხორციელებას.

2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას. დეპარტამენტების დებულებით განსაზღვრულია დეპარტამენტების უფლებამოსილება სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების, განხილვისა და სრულყოფის მიმართულებით, ხოლო დეპარტამენტის წევრებს უზრუნველყოფილი აქვთ შესაბამის გადაწყვეტილებებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

დაწყებითი საფეხურისა და ველბიინგისა და სპორტის დეპარტამენტების სხდომების ოქმებით დასტურდება, რომ კურიკულუმის კომპონენტები შემუშავდა და განიხილეს კოლეგიურ ფორმატში, მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობით. სხდომებზე განიხილებოდა სასწავლო პროგრამები, საგნობრივი კურიკულუმები, დამატებითი რესურსები, სასწავლო აქტივობები და მათი განხორციელების მიდგომები, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები აისახა დეპარტამენტების საქმიანობაში.

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების პროფესიული თანამშრომლობისა და მონაწილეობითი მიდგომის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას სკოლის საგანმანათლებლო ხედვასა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებთან.

2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს კურიკულუმის განხილვის, შეთანხმებისა და სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის ეტაპებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, კურიკულუმის პროექტები განიხილება შესაბამის დეპარტამენტებში, ხოლო მათი დამტკიცების პროცესში უზრუნველყოფილია მასწავლებელთა მონაწილეობა და ინფორმირებულობა.

წარმოდგენილი დეპარტამენტების სხდომების ოქმები და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასკოლო კურიკულუმი და მისი კომპონენტები გაზიარებულია პედაგოგიურ პერსონალთან, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა მის განხილვასა და სრულყოფაში. აღნიშნული უზრუნველყოფს კურიკულუმის საერთო გააზრებასა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

შეფასების მომენტისთვის სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს და არ ჰყავს მოსწავლეები. შესაბამისად, კურიკულუმის გაზიარება მოსწავლეებთან და მშობლებთან ჯერ ვერ განხორციელდებოდა. თუმცა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს აღნიშნული პროცესის განხორციელების მექანიზმებს სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ეტაპობრივ ინფორმირებასა და ჩართულობას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეფასების ეტაპისთვის კურიკულუმი გაზიარებულია იმ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართული არიან მის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხოლო დანარჩენ დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების მექანიზმები განსაზღვრულია და განხორციელდება სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ.

2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/10-ით დამტკიცებული -კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებით საფეხურის კურიკულუმი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/23-ით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულება
- დაწყებითი დეპატამენტის სხდომის ოქმები
- ველბიინგის და სპორტის დეპარტამენტის 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმა
- ველბიინგის და სპორტის დეპარტამენტის სხდომის ოქმები
- 2026-2027 სასწავლო წლის გაკვეთილების განრიგი (ცხრილი)
- სწავლა-სწავლების სტრატეგიები და მეთოდები
- შემოქმედებითი დავალების ნიმუში
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები შეესაბამება

მეცნიერებები	ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შემოქმედებით დავალებებში ნათლად ჩანს, რომ მოსწავლე აქტიურადაა ჩართული ყველა პრაქტიკული დავალებების შესრულებაში და გამოხატავს საკუთარ ვარაუდებს, მოსაზრებებს და დასკვნებს, რაც თავისთავად აძლევს მოსწავლეებს შეძენილი ცოდის გამოყენების შესაძლებლობას. კათედრის წევრებმა წარმოადგინეს კვლევის ანგარიშის, ექსპერიმენტის და ცდის განხორციელების ფორმები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს დაკვირვების დღიურები, რაც იძლევა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში მოსწავლეებში განავითაროს დაკვირვებისა და კვლევა-ძიების უნარი. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ სავალდებულო თემაში გაწერილია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა განმარტეს შუალედური მიზნების განხორცილების პროცესში, რომელ ფუნქციურ-კომპონეტურ უნარების განვითარებაზე იმუშავებენ მოსწავლეებთან. ინტერვიუირების პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს შეიმუშავენ ისეთი სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მათ დაეხმარება მოსწავლეებში განავითაროონ გლობალური ფუნქციური უნარები. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსური ტიპის დავალებები განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილია თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, შემოქმედებითი დავალებები, რომელთა გაცნობა ადსტურებს, რომ სასწავლო პროცესი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მოთხოვნებს. კურიკულუმში მოცემული თემები, სკოლის მიერ

	გადმოგზავნილი შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები მოითხოვს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე და პროცესზე ორიენტირებული პროგრამა. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოაჩენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით და მათში შესულია არაერთი შემოქმედებითი დავალება, მითითებულია მრავალფეროვანი რესურსები. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. მათში წარმოდგენილი საკითხები და ქვესაკითხები სრულად მოიცავს სასწავლო თემატიკას და უზრუნველყოფს გრძელვადიან საგანმანათლებლო მიზნებზე ორიენტირებულ სწავლებას. პროგრამა ისეა აწყობილი, რომ ბავშვებმა რეალური ცოდნა მიიღონ. კურიკულუმი ეხმარება მათ, რომ ძველი ცოდნა ახალს დაუკავშირონ. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები სრულ თანხვედრაშია ბავშვის ასაკობრივ განვითარებასთან, ხოლო დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით ხელს უწყობს მისი პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. დოკუმენტში განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები (მაგ., „ჩემი ფიზიკური თვისებების რუკა“, „მოძრაობის გამოწვევა“, „ჯანსაღი დღის საათი“ და სხვ.). კურიკულუმების გარდა, სკოლას წარმოდგენილი აქვს დამატებითი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით გაძლიერებული პროგრამები „ჯეიბიეს ველბინფი“ და „სპორტის და ჯანსაღი ცხოვრება“. “ჯეიბიეს ველბიინგის” პროგრამა დაფუძნებულია და შესაბამისია წამყვან საერთაშორისო ჯანდაცვის, განათლებისა და ბავშვის განვითარების ჩარჩოებთან, რომლებიც პრიორიტეტულად არის განსაზღვრული ადრეული ასაკის ბავშვთა, დაწყებითი და მოზარდთა/საშუალო განათლების პროგრამებისთვის. პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას, მათ შორის ძილის, კვების, ფიზიკური აქტივობის, ემოციური რეგულაციისა და სოციალური უნარების განვითარებას. ასევე, სკოლა დამატებითად სთავაზობს მოსწავლეებს ფეხბურთის მიმართულებით სასწავლო პროცესში ინტეგრირებულ პროგრამას „FIFA 11+ ბავშვებისთვის“ (FIFA 11+ for Kids), რომელიც ფოკუსირებულია ტრავმების პრევენციაზე, კოოტდინაციის და ბალანსის გაუმჯობესებაზე და, ზოგადად, მოტორულ განვითარებაზე. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი იქნება მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული და შედეგზე ორიენტირებული, კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში სადაც ცოდნის შეძენასთან ერთად მოხდება საჭირო უნარების გამომუშავება და ცოდნის ტრანსფერი. **2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

	2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმში არის მითითებული გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგნის სტანდართან, თემასთან, საკითხთან, მოსწავლეთა ინტერესებთან, რაც ზრდის სწავლების მოტივაციას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს ყველა რესურსი და საშუალება, რომ სრულყოფილად წარიმართოს სასწავლო პროცესი (ჭკვიანი დაფა, სივრცე ბუნებიემეტყველების მარტივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად. ინტერვიუს დროს გამოკვეთა, რომ ბუნებისმეტყველების სწავლებს ეფუძნება STEM მიმართულებას და მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან ექსპერიმენტებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს, რაც თავის მხრივ აღძრავს მოსწავლეებში ინტერესს და მოტივაციას საბუნებიმსეტყველო საგნების მიმართ. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი არის, როგორც ძირითადი რესურსი სახელმძღვანელოს სახით, ასევე ინტერნეტ რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	შპს ჯეიბიეს სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხოური ენების კურიკულუმებების ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. თემებში კლასების მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე ცნებების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შედეგები, რაც მოსწავლეებში აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი საფეხურის ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში, შემოქმედებითი დავალებების ნიმუშებში და მათი შეფასების ინსტრუმენტებში ჩანს, რომ სკოლა, სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად იაზრებს სტანდარტის შედეგების და სამიზნე ცნება/ქვეცნებების მნიშვნელობას. თითოეულ თემაში სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავება ემსახურება საგნობრივი კომპეტენციებისა და გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას. ამდენად, ჩანს, კურიკულუმი პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ ნორმებს.. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმი გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით, ეყრდნობა ეროვნული გეგმით განსაზღვრულ თემატიკასა და ტექსტებს. დაწყებით საფეხურზე შეტანილია ისეთი დავალებები, რომლებიც ემსახურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ამას ადასტურებს მათ მიერ გადმოგზავნილი არაერთი დავალების სრულყოფილი პირობები დაწვრილებით გაწერილი განხორციელების ეტაპებთან ერთად. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. მასში სრულად არის ასახული ყველა სავალდებულო საკითხი და ორიენტირებულია იმ გრძელვადიან შედეგებზე, რომლებსაც საფეხურის დასრულება ითვალისწინებს. შუალედური მიზნების მისაღწევად გამოყენებულია მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები, ხოლო სასწავლო თემების, დამხმარე რესურსებისა და შეფასების მექანიზმების ერთობლიობა უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის პიროვნულ წინსვლას, ისე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმები აკმაყოფილებს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება იმ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა. მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი ტიპის დავალება სადაც მრავალფეროვანი რესურსია შესაქმენლი, ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე. **2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები.

	2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმში არის მითითებული გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგნის სტანდართან, თემასთან, საკითხთან, მოსწავლეთა ინტერესებთან, რაც ზრდის სწავლების მოტივაციას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს ყველა რესურსი და საშუალება, რომ სრულყოფილად წარიმართოს სასწავლო პროცესი (ჭკვიანი დაფა, სივრცე ბუნებიემეტყველების მარტივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად. ინტერვიუს დროს გამოკვეთა, რომ ბუნებისმეტყველების სწავლებს ეფუძნება STEM მიმართულებას და მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან ექსპერიმენტებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს, რაც თავის მხრივ აღძრავს მოსწავლეებში ინტერესს და მოტივაციას საბუნებიმსეტყველო საგნების მიმართ. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. სასწავლო პროცესში სისტემატურად გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები — დავალებების სირთულე, ფორმატი და მოცულობა ადაპტირებულია სხვადასხვა აკადემიური დონისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტიან ჩართულობასა და პროგრესს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით შეუძლიათ შეცვალონ შუალედური მიზნები და მოახდინონ შემოქმედებითი დავალების მოდიფიცირება, ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ მათი მთავარი მიზანი ყველა მოსწავლის მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაა, ამას კი სხვადასხა აქტივობების, მოდიფიცირებული რესურსებით და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით მოახდენენ. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსებისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები გამოიყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი საფეხურის ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია საგანმანათლებლო რესურსი: ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ტელესკოლის და სხვადასხვა აუდიო თუ ვიდეო მასალის ბმულები, რომლებიც აადვილებს შემოქმედებითი დავალებების შესრულების პროცესს. თითოეული რესურსი, არის საინტერესო, მრავალფეროვანი, მიზანმიმართული, პასუხობს საგანმანათლებლო მიზნებს, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმებში შეტანილია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ისე დამატებით ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსები. ასევე დამხმარე ტექსტები ონლაინრესურსების სახით. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში პრიორიტეტულია საგანმანათლებლო რესურსების ფუნქციური და მიზნობრივი გამოყენება. კურიკულუმში ასახული ელექტრონული და მატერიალური დამხმარე რესურსები, რომლებიც შეთანხმებულია კათედრაზე, ორიენტირებულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების რეალიზებასა და მოსწავლეთა აკადემიურ პროგრესს. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოები და თვალსაჩინოება (მაგ., ილუსტრაციები, პრეზენტაციები, ვიდეო-მასალა, ვიდეო-ბმულები და სხვ,).

	2.1.2.3 ინდიკატორის მოტხოვნა დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები რაც ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, შერჩეულია შედეგების მიღწევისათვის საჭირო შესაფერისი ინსტრუმენტები. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლები გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. კერძოდ: მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექურად მიღწევას. **2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით, ასევე წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითავლისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების მიხედვით და ემსახურება როგორც სწავლების, ასევე სწავლის პროცესის მხარდაჭერას. სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სქემები, რომლითაც გეგმავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესის მონიტორინგს. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების და სწავლის პოტენციალის გათვალისწინების აუცილებლობაზე. მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს განიხილავენ, როგორც უნიკალურს თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, სწავლის სტილით მოტივაციითა და პირადი ინტერესებით (შეთავაზებულია როგორც ფოტო და ვიდეო რესურსები ასევე მოსასმენი სავარჯიშოები), ისგ ნიმუში. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში სკოლა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას და მასალის მაქსიმალურ ათვისებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი) აღნიშნულია, რომ დიფერენცირებული სწავლების მეთოდების დანერგვის მიზნით 1-4 კლასებში გამოიყენება მოსწავლეთა დაჯგუფება, გადაჯგუფება, ე.წ. „სასწავლო სადგურები“, რითაც მასწავლებელს საშუალება ეძლევა სირთულის მიხედვით შეცვალოს სასწავლო მასალა, დავალებები, უკუკავშირის და მოსწავლეთა მხარდაჭერის სიხშირეც გაზარდოს. დიფერენცირებულ მიდგომებზე მეტყველებს, ასევე, მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი ფორმატები და დავალებებისა და პროექტების შერჩევის შესაძლებლობა. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმი დაწყებით საფეხურზე შეიცავს აუცილებელ კომპონენტებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს და გასაუბრებისას სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმაც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ცდილობენ ისეთი დავალებების შეტანას, რომელთა შესრულებაც ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მოსწავლეს შეეძლება თავისი უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომასაც. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების აქტიურ დანერგვას გეგმავს. მასწავლებლები სიღრმისეულად აცნობიერებენ ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელობას. მათი

	განმარტებით, სასწავლო აქტივობები თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და მომზადების დონის გათვალისწინებით დაიგეგმება. მოსწავლეებისთვის არჩევანის შესაძლებლობის მიცემა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი მოტივაციისა და ინტერესის გაზრდას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დავალებების ადაპტირებას, მათ შორის, სსსმ მოსწავლეებისთვის, რაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ეფექტური გამოყენებით განხორციელდება. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრებამ აჩვენა, რომ მასწავლებლები მზად არიან სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებისთვის, ისინი ფლობენ თეორიულ ცოდნას სსსმ მოსწავლეებთან ეფექტურად მუშაობის შესახებ, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკაში გამოიყენებენ. ასევე, სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი გამოიყენებს დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს. მოსწავლეებს სთავაზობს მის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ დავალებებს, საჭიროების შემთხვევაში მოახდენს დავალების მოდიფიცირებას და ადაპტირებას და მათ შესასრულებლად განსაზღვრავს შესაბამის დროს. **2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. ასევე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში. **2.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ყველა შემოქმედებით დავალებას, კვლევას და ექსპერიმენტს თან ახლავს შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიის გათვალისწინებით. ასევე შემუშავებული აქვთ კვლევის ანგარიშის ფორმები. თვითშეფასების და ურთიერთშეფასები რუბრიკები/კითხვარები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს და მისაღწევ შედეგებს, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას ორიენტირებულნი იყვნენ სასწავლო მიზანზე და შედეგზე. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმები მუდმივ გადახედვასა და საჭიროებისამებრ მოდიფიცირებას მოითხოვს. მათი განმარტებით, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გაცნობის შემდეგ განხორციელდება კურიკულუმის გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა სასწავლო პროცესი მეტად პასუხობდეს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა გამოიყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, ამის დასადასტურებლად უცხოური ენების მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების სქემები. გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი დავალების შესრულების შემდგომ მოსწავლის თვითრეფლექსია მას საშუალებას მისცემს გაიაზროს რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, შეფასება უნდა დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც, რისთვისაც იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლის მიერ გადმოგზავნილი შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები ცხადყოფს, რომ შეფასების სისტემა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ამოცანებს. შეფასების კრიტერიუმები წარმოაჩენს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მნიშვნელობას თემატური კონტექსტების გათვალისწინენით. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სკოლამ გადმოაგზავნა როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. რუბრიკები არ არის გაწერილი ცნებების მიხედვით, თუმცა შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გასაუბრების დროს პედაგოგებმა დეტალურად ახსნეს, როგორ შეაფასებენ თავიანთ მოსწავლეებს, გაგვაცნეს კონკრეტული მაგალითები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებების ნიმუშები კომენტარების სახით. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში მთავარი ყურადღება მოსწავლეთა თვითგანვითარებასა და მეტაკოგნიტური სტრატეგიების განვითარებას ეთმობა. პედაგოგთა განმარტებით, შეფასების სისტემა მოსწავლეს საკუთარი პროგრესის იდენტიფიცირებასა და სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაგეგმვაში ეხმარება. კათედრის მიერ შეთანხმებული და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ამასთანავე, მასწავლებლები სიღრმისეულად ფლობენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა თუ ინსტრუმენტებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო მიზნების მიღწევას. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. თითოეულ შემოქმედით დავალებას ახლავა განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, შეფასების რუბრიკა, და კითხვები მოსწავლის თვითშეფასებისთვის. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე. შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და

	მისაღწევი შედეგები. **2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემოქმედებითი ტიპის დავალებები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები;
- ჯეიბიეს ველბინგის სასწავლო პროგრამა;
- გაკვეთილების განრიგი (ცხრილი);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი
- ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- რუსული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ესპანური ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- დანართი 8 - შემოქმედებითი დავალების ნიმუში
- დანართი 9 - სწავლა-სწავლების სტრატეგიები და მეთოდები
- დანართი 10 - შეფასების რუბრიკების ნიმუშები (სარეკომენდაციო სახელმძღვანელო)
- დანართი 11 - განმავითარებელი შეფასების მეთოდები
- დანართი 12 - მოსწავლის შეფასება, როგორც ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი
- დანართი 13 - ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები
- სასკოლო სასწავლო გეგმა (School Curricula)
- მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები (1-6 კლასი)
- მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შეფასების რუბრიკებით
- დანართი 10 - შეფასების რუბრიკების ნიმუშები (სარეკომენდაციო სახელმძღვანელო)
- დანართი 11 - განმავითარებელი შეფასების მეთოდები
- დანართი 12 - მოსწავლის შეფასება, როგორც ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი
- დანართი 9 - სწავლა-სწავლების სტრატეგიები და მეთოდები

- დაწყებითი საფეხურის დეპარტამენტის სხდომის ოქმები
- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- კვლევის ანგარიშის ფორმები
- ექსპერიმენტის და დაკვირევების დღიურების ნიმუშები
- თვითშეფასების და ურთიერთშეფასები კითხვარები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება სკოლის კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმეტაციით. **2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმები მუდმივ გადახედვასა და საჭიროებისამებრ მოდიფიცირებას მოითხოვს. მათი განმარტებით, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გაცნობის შემდეგ განხორციელდება კურიკულუმის გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რათა სასწავლო პროცესი მეტად პასუხობდეს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	შპს ჯეიბიეს სკოლაში სასწავლო პროცესი განხორციელდება უცხოური ენების კათედრაზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, მეორე მხრივ მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოკვეთილი სწორი აქცენტები და სასწავლო პროცესის გააზრებული ხედვა. **2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის ამსახველი მასალა- კურიკულუმში მითითებული თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ასევე, თითოეული თემით განსაზღვრული შემოქმედებითი დავალების ნიმუშების აღწერა (დავალების შესრულების ეტაპები, საკვანძო შეკითხვები, სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევაც დასტურდება დავალების შესრულებით, შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები) მოწმობს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესის წარმატებულ დაგეგმვას ხელს უწყობს საინტერესო შემოქმედებითი აქტივობები, რომლებსაც მოსწავლეები საკუთარი შესაძლებლობებით და ინტერპრეტაციით შეასრულებენ. **2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი მოიცავს მხოლოდ დაწყებით საფეხურს. კურიკულუმი გამართულია, მასში შეტანილია სამიზნე ცნებები, სასწავლო წლის

	განმავლობაში შესასწავლი თემები, ტექსტები, გაწერილია მრავალფეროვანი რესურსები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ამ კომპონენტების სწორი შერჩევა და განაწილება, კათედრის წევრების მსჯელობა კურიკულუმის დანერგვასა და განვითარებაზე, მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმი არის დაგეგმილი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი. **2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ინტერვიუს შედეგებით. საგნობრივი გეგმები ეფუძნება სავალდებულო თემატურ ბლოკებს, ხოლო შერჩეული საკითხები და შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციაზე, მათ წინარე გამოცდილებასა და ცოდნის პრაქტიკულ კონსტრუირებაზე. აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმა ადაპტირებადია და მასწავლებლებს შეუძლიათ მასში ცვლილებების შეტანა მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიღებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გეგმავენ აღნიშნული დოკუმენტის რევიზიას, რაც, შესაძლოა, მასში გარკვეული კორექტივების შეტანის საფუძველი გახდეს. **2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება კურიკულუმის შესაბამისად. სკოლამ წარმადგინა გაკვეთილების განრიგის ცხრილი, სადაც ასახულია ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, ჯეიბიეს ველბინგი, ფიზიკურ-განმავითარებელი აქტივობები, სპორტი და ჯანსაღი ცხოვრება, დილის აქტივობები. **2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი წარიმართება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სადაც ყველა აქტივობა, გაკვეთილი და შეფასება დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის მოთხოვნების შესრულება და მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარება. **2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებზე და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **2.2.1.1ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებას შექმნილი აქვს ისეთი მართვისა და განვითარების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათზე დროულ რეაგირებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის პერიოდულ გადახედვას, უკუკავშირის, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე მისი განახლებისა და საჭირო ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, სკოლის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები განსაზღვრავს ორგანიზაციულ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო პროცესთან, ისე ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ოპერატიულ რეაგირებას. დოკუმენტებში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, პერსონალის მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები, რაც ქმნის საჭიროებებზე დაფუძნებული მართვის სისტემის საფუძველს.

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესი. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალსიწინებს ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ამისთვის სკოლა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმას, ქმნის ისგ ჯგუფს.

სკოლას აქვს მოქნილი მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. რომელიმე მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება. განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში ახალი კადრის შერჩევის წესი და არსებული კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და იძლევა მათი საჭიროებების მიხედვით ცვლილების საშუალებას.

2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის დაწყებთი საფეხურის კათედრაზე შეფასების სიტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. შეფასების სიტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი

	გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად გააცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დაგეგმილ მოთხოვნებს. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ვერიფიკაცია არის დახმარებაზე ორიენტირებული პროცესი, რომელიც მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. დაწყებითი საფეხურის დეპარტამენტის მიერ მოწიდებული მუსიკისა და ხელოვნების საგნებში მოცემული შემოქმედებითი დავალებები და მათი შეფასების კრიტერიუმების შინაარსობრივი მხარე პასუხობს ვალიდური და სანდო შეფასების მოთხოვნებს მოსწავლეებმა იციან, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი ცოდნა. ყველა კრიტერიუმს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების პროცესი შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების პროცესში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მრავალფეროვანი ინსტრუმენტი. მოსწავლეებისთვის ცნობილი იქნება , როგორ შეფასდება მათი ნამუშევრები და მათ მკაფიოდ ექნებათ გააზრებული, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მათი პასუხი, პროდუქტი ან შესრულებული დავალება. კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების სქემები თითოეული დავალებისათვის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მიმართ თანაბარ და სამართლიან მიდგომას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

	2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების რუბრიკებში ნათლად არის ასახული, თუ რომელი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები. შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ შემოქმედებით დავალებებს. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი- განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი რუბრიკები, ასევე თვითშეფასების კითხვარები. წარმოდგენილი შეფასების ფორმები უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ შესაძლებლობებს და ასახავს მათ მიღწევებსა და პროგრესს. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზანი, შეფასების ზოგადი პრინციპები, პროცესში ჩართული პირები, მათი პასუხისმგებლობები, ვერიფიკაციის მიმართულებები, ეტაპები, განხორციელების პირობები, შერჩევის სტრატეგია და დოკუმენტირების წესი.

წესის თანახმად, ვერიფიკაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმს, რომლის მიზანია დადგინდეს, რამდენად ზუსტად იგეგმება და სწორად ხორციელდება მოსწავლეთა შეფასება. ვერიფიკაცია ორიენტირებულია შეფასების ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფაზე, ასევე შეფასების შედეგების გამოყენებაზე მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით.

დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროცესში მონაწილეობენ დირექტორის მოადგილე, ვერიფიკატორები და საგნის მასწავლებლები. ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების მიმართულებით. ასევე დადგენილია გეგმიური და საჭიროებისამებრ დამატებითი ვერიფიკაციის შესაძლებლობა, მათ შორის დაინტერესებული პირის განცხადების ან შეფასების პროცესში გამოვლენილი პრობლემის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისად, ვერიფიკაციის მექანიზმის პრაქტიკაში ფუნქციონირების შედეგების შეფასება ვერ ხერხდება. თუმცა წარმოდგენილი წესი ქმნის შეფასების სისტემის შიდა შემოწმების, შედეგების ანალიზის, უკუკავშირის მიწოდების, საჭირო მხარდაჭერის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების ორგანიზებულ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინნარე,

2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესით განსაზღვრულია შეფასების პროცესთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებებისა და ვერიფიკაციის დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის ერთიანი წესი. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაციის პროცესის თითოეული ეტაპი ექვემდებარება სავალდებულო დოკუმენტირებას, ხოლო დირექტორის მოადგილეს უზრუნველყოფილი აქვს შესაბამის ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობა, რაც ქმნის შეფასების პროცესის მონიტორინგისა და შემდგომი ანალიზის საფუძველს.

ამასთან, წესით განსაზღვრულია, რომ შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ინახება უსაფრთხოდ სკოლაში, ხოლო მისი შენახვის ვადა შეადგენს არანაკლებ 3 წელს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მტკიცებულებების ხელმისაწვდომობას, გადამოწმებადობასა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებას.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ შეფასების მომენტისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში ფუნქციონირების შეფასება ვერ ხერხდება. თუმცა წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტაცია სრულად განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვის, დაცული შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენების წესს.

2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

- შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა
- განსახორციელებული პროექტის გეგმები
- კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი
- ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები;
- ჯეიბიეს ველბინგის სასწავლო პროგრამა;
- გაკვეთილების განრიგი (ცხრილი);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/11-ით დამტკიცებული -შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/13 დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებული სახლემღვანელოს გარდა კათედრა იყენებს სხვადასხვა თვალსაჩინოებს: მულაჟებს, ტაბულებს, მიკროსკოპს. ასევე ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო ანიმაციებს და სიმულაციურ თამაშებს. სკოლას აქვს ჭკვიანი დაფა და ასევე სივრცე STEM კლუბის ფარგლებში სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩასატარებლად, რაც მოსწავლეებისთვის საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. დამხმარე რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,

	ინტერესები, საჭიროებები. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	შპს ჯეიბიეს სკოლის უცხოური ენების კათედრის წევრები სასწავლო პროცესს წარმართავენ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენებით. გარდა კურიკულუმებში მითითებულისა, გასაუბრებაზე მათ დაადასტურეს, რომ გამოიყენებენ მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს. მათ მიეცათ **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა დოკმენტი (დანართი 13)- ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მასწავლებლები გეგმავენ აქტიურად გამოიყენონ კურიკულუმში მოცემული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები (მითითებული ბმულებით), სხვადასხვა თვალსაჩინოება. მუსიკის და ხელოვნების საგნების კურიკულუმში მითითებულ თითოეულ თემას ახლავს თემით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებების აღწერა, სადაც ასევე მითითებულია რა რესურსის გამოყენებით უნდა შესრულდეს დავალება, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილ კურიკულუმში შეტანილია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ისე დამატებით ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსები. ასევე დამხმარე ტექსტები ონლაინრესურსების სახით. გასაუბრებისას პედაგოგებმა დაასახელეს არაერთი რესურსი, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებენ სასურველი შედეგის მისაღწევად, მაგალითად: ტექსტების მიხედვით გადაღებულ ფილმებს, აუდიოტექსტებს, ონლაინსავარჯიშოებს გრამატიკაში. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სწავლების ეფექტურობის გასაზრდელად, სკოლა გამოიყენებს კომპლექსურ რესურსებს: გრიფირებულ და დამხმარე სახელმძღვანელოებს, ასევე მრავალფეროვან მატერიალურ და ელექტრონულ მასალებს. აღნიშნული მიდგომა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებასა და დასახული მიზნების წარმატებით შესრულებას. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლამ წარმოადგინა როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც ასახულია კურიკულუმებში და მათი გამოყენება დაგეგმილია სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს სახვადასხვა სასწვლო და დამხმარე რესურსები, ქმნის საინტერსეო გარემოს სწავლის პროცესში და მოსწავლეებს სთავაზობს საინტერესო, მათ შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებს, რათა საგაკვეთილო პროცესი იყოს ხალისიანი, სადაც მოსწავლეები მაქსიმალურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები რასაც გამიყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებით. ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების დაცვას. სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების დაცვას. სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და ასევე მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრაზე. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით უცხოური ენების კათედრა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი საფეხურის დეპარტამენტის ოქმებში აღნიშნულია, რომ დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისთვის სკოლა იყენებს შესაბამის სქემას, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის შინაარსობრივ გამართულობას, შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, რესურსის სანდოობას და მისი გამოყენების უსაფრთხოებას. მასწავლებელი აკვირდება და ადგენს, გამოიწვია თუ არა შერჩეულმა რესურსმა მოსწავლეთა დაინტერესება, მოტივაციის ამაღლება, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, რამ გაამართლა და რა საჭიროებს გაუმჯობესებას, გადახედვას, შეესაბამება თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და რამდენად შეუწყობს ხელს სასწავლო მიზნების მიღწევა-განვითარებას. ასეთი მიდგომები უფრო საინტერესოს და სანდოს ხდის სასწავლო პროცესს. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დამხმარე რესურსები, რომლებიც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, ვალიდურია. მტკიცებულებად წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის დეპარტამენტის ოქმი. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას გამოყენებული დამატებითი რესურსები შერჩეულია ესგ-ით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. აღნიშნული რესურსები შეთანხმებული და ვალიდირებულია კათედრაზე ოფიციალურად არის დამოწმებული №2 ოქმით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ხარისხსა და სტანდარტებთან შესაბამისობას. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	გამოყენებული რესურსები, როგორიცაა ონლაინ საიტები, საგანმანათლებლო პორტალი, ციფრული თუ დამატებითი სასწავლო რესურსები, პრეზენტაციები შესაბამისია განათლების სტანდარტებთან, ვალიდურია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებაზე, რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული, შესაბამისი და ვალიდური. **2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია ყველა იმ რესურსით, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში, შემეცნებით კვლევის პროცესებში და ექსპერიმენტებში. კურიკულუმში გაწერილი ყველა აქტივობა და დავალება დაფუძნებულია კეთებით და დაკვირვებით სწავლებაზე, რაც მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს ბუნებისმეტყველების მიმართ. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას

	განსაზღვრული აქვს „მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი“ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	სასწავლო მიზნების რეალიზება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოებით, დამატებითი ლიტერატურით და ელექტრონული მასალებით. მათი ერთობლიობა მასწავლებლებს აძლევს საშუალებას პროდუქტიული გახადონ სწავლების პროცესი და ხელი შეუწყონ მოსწავლეთა განვითარებას. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	სკოლას აქვს სპორტული ინვენტარი, რომელიც მითითებულია საგნოვრივ კურიკულუმებში. სკოლას გააჩნია, ფეხბურთის, ფრენბურთი, კალათბურთის ბურთები, ლეიბები, ჰანტელიებ, ჰულა-ჰოპები, ნიშნულები, მცირე და დიდი ზომის ბურთები და სხვ. თუმცა, საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში შენობაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს შეფასდეს, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა რამდენადაა შესაძლებელი სკოლის სპორტული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება:** არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც ვიზიტის შემდგომ სრულად მოეწყო დახურული სპორტული დარბაზი და შესაბამისი სივრცეები და ისინი აღიჭურვა სპორტული ინვენტარით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ვიზიტის შემდგომ სკოლამ გააუმჯობესა სპორტის სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური გარემო და დაასრულა სპორტული დარბაზის მოწყობა. შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასებაც და გადადის სრულ შესაბამისობაში **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის აზომვითი ნახაზით დასტურდება სკოლაში კომპიუტერული კლასის / ციფრული ლაბორატორიისთვის სპეციალიზებული სივრცის არსებობა, რომელიც განკუთვნილი იქნება

	მოსწავლეთათვის ციფრული წიგნიერების, კოდირებისა და STEM მიმართულებების ასათვისებლად. სივრცე გათვლილია 20 სამუშაო ადგილზე. საავტორიზაციო ვიზიტის ფარგლებში სკოლამ ასევე წარმოდგინა კომპიუტერული ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი მასალები. რამდენადაც, ვიზიტის პერიოდში შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები ვერ მოხდა სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში დათვალიერება. **არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება:** არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში ამ მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა მნიშვნელოვნად გაძლიერებული მტკიცებულებითი ბაზა. სკოლის განმარტებით, დამონტაჟებულია და გამართულად ფუნქციონირებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტქსელი — როგორც Wi-Fi, ისე კაბელური ქსელი. გარდა ამისა, წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით დასტურდება 38 ერთეული საინფორმაციო ტექნოლოგიური მოწყობილობის შეძენა, მათ შორის: 30 ნოუთბუქი; 6 ინტერაქტიური Smart Board; A3 ფორმატის მრავალფუნქციური ლაზერული პრინტერი; ფერადი მრავალფუნქციური პრინტერი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტური და ვიზუალური მტკიცებულებებით დასტურდება ტექნოლოგიების სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება, შესაბამისი სივრცის მოწყობა და ინტერნეტინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. აღნიშნული გარემოებები ქმნის ტექნოლოგიების კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ საფუძველს, შესაბამისად იცვლება ინდიკატორის შეფასებაც და გადადის სრულ შესაბამისობაში **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

1. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულია 19 მასწავლებელი, მათ შორის: 2 წამყვანი მასწავლებელი; 10 უფროსი მასწავლებელი; 4 მოწვეული მასწავლებელი; 3 მასწავლებელი, რომლებიც დამატებით ასწავლიან სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანს JBS WellBeing.

აღნიშნული საგნის მასწავლებლებისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთაც დასაქმებული პირები სრულად აკმაყოფილებენ.
სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა უმრავლესობას მინიჭებული აქვს კანონმდებლობით გათვალიწინებული სტატუსი (2 წამყვანი და 10 უფროსი მასწავლებელი). სკოლას დაგეგმილი აქვს სტატუსის მინიჭების პროცესში ჩართოს 3 მასწავლებლები, რომლებთანაც ამჟამად გაფორმებულია მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება. მოწვეულ მასწავლებლთან გაფორმებული ხელშეკრულება აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ საათობრივ დატვირთვას. აღნიშნული მასწავლებლები (ისტორიისა და ესპანური ენის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხები, ხოლო მათემატიკის მასწავლებელი აკმაყოფილებს მასწავლებლის მაძიებლის პროგრამაში ჩართვისთვის დადგენილ წინაპირობებს) აკმაყოფილებენ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალიწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/10-ით დამტკიცებული -კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები
- შეფასების რუბრიკები
- ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები;
- ჯეიბიეს ველბინგის სასწავლო პროგრამა;
- გაკვეთილების განრიგი (ცხრილი);
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
- სპორტული ინვენტარის ფოტომასალა და შესყიდვის მასალები
- მასწავლებლის პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესისა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების მიზნებს, ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებს, გამოყენებულ ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებების წყაროებს. დოკუმენტით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, შეფასების შედეგების ვერიფიკაცია, მასწავლებელთა თვითშეფასება, დეპარტამენტების საქმიანობის ანალიზი, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი და კურიკულუმის პერიოდული გადახედვა, რაც ქმნის კურიკულუმის განხორციელების შეფასების სისტემურ საფუძველს.

ამასთან, წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობას. კურიკულუმის განხორციელების შეფასებაში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის, საგნობრივი დეპარტამენტების, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ფუნქციები, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება კურიკულუმის სრულყოფისა და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ შეფასების მომენტისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის პრაქტიკაში განხორციელების შეფასება შეუძლებელია. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების სრულყოფილი მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების სისტემურ შეფასებასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების სათანადო ორგანიზაციული და პროცედურული საფუძვლები.

2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განიხილება, როგორც კურიკულუმისა და სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების ინსტრუმენტი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით განსაზღვრულია, რომ მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები ექვემდებარება ანალიზს, რომლის საფუძველზეც იდენტიფიცირდება გასაუმჯობესებელი მიმართულებები, განისაზღვრება შესაბამისი რეკომენდაციები, პასუხისმგებელი პირები, განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. ამასთან, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი ითვალისწინებს უკუკავშირის მიწოდებას, მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვასა და შეფასების პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო სტრატეგიული დაგეგმვის სისტემა უზრუნველყოფს მიღებული შედეგების ასახვას სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე ითვალისწინებს, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების (PDCA) ციკლს, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ პრობლემების გამოვლენას, არამედ მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზსა და შესაბამისი რეაგირების დაგეგმვას.

ვინაიდან შეფასების მომენტისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული ეფექტიანობა. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს ისეთი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის გზების განსაზღვრასა და კურიკულუმის უწყვეტ გაუმჯობესებას.

2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესის, პერსონალის შეფასებისა და ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესით განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაცია წარმოადგენს დახმარებაზე ორიენტირებულ პროცესს, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, მათთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება, მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე სამუშაო შეხვედრების, რეკომენდაციების, ტრენინგებისა და სხვა განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვას.

ამასთან, წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვისა და პერსონალის შეფასების დოკუმენტები განსაზღვრავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, ინდივიდუალური მხარდაჭერის, მენტორინგისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების დასაგეგმად. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია კი უზრუნველყოფს მონიტორინგის შედეგების გამოყენებას კურიკულუმის, სწავლა-სწავლების პროცესისა და სასკოლო გარემოს უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ შეფასების მომენტისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, რის გამოც აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული განხორციელების შეფასება შეუძლებელია. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ისეთი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერაზე, პროფესიულ განვითარებასა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე.

2.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/10-ით დამტკიცებული -კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- ვერიფიკაციის წესი

- დეპარტამენტის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/32-ით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში შეფასების სისტემა ეფუძნება მრავალფეროვან შეფასების წყაროებსა და მტკიცებულებებს. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის მიღწევების შეფასებას სხვადასხვა ფორმით, მათ შორის წერითი და ზეპირი დავალებებით, პროექტებით, პრეზენტაციებით, კვლევითი და პრაქტიკული აქტივობებით, შემოქმედებითი დავალებებით, კომპლექსური დავალებებითა და სხვა სასწავლო აქტივობებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მრავალმხრივ შეფასებას.

სკოლის მიერ შემუშავებული შემოქმედებითი დავალებების განხორციელების მოდელი დამატებით განსაზღვრავს შეფასების ისეთ მტკიცებულებებს, როგორიცაა მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი, შესრულების პროცესი, შეფასების რუბრიკები, თვითშეფასება და მასწავლებლის განმავითარებელი უკუკავშირი. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მრავალწყაროიანობასა და ობიექტურობას.

ამასთან, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებას შეფასების სანდოობის, ვალიდურობისა და სამართლიანობის დასადასტურებლად.

სკოლას შემუშავებული აქვს მრავალფეროვან მტკიცებულებებსა და შეფასების სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიღწევების ობიექტურ, მრავალმხრივ და შედეგზე ორიენტირებულ შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასება არ ეფუძნება ერთჯერად შეფასებით აქტივობას, არამედ სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა მტკიცებულებისა და სხვადასხვა სასწავლო აქტივობის ფარგლებში დაგროვილ ინფორმაციას, რაც ქმნის მოსწავლის მიღწევების შეფასების სისტემურ და მრავალგანზომილებიან მოდელს.

2.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასკოლო კურიკულუმი, საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების პოლიტიკა, სწავლა-სწავლების სტრატეგიები, შემოქმედებითი დავალებების განხორციელების მოდელი, დამრიგებლის დებულება, მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლაში შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საგაკვეთილო აქტივობებით და დაგეგმილია მრავალფეროვან საგანმანათლებლო კონტექსტში. საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების პოლიტიკა ითვალისწინებს მოსწავლის მიღწევების შეფასებას როგორც საკლასო სწავლების პროცესში, ისე ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, პროექტული და კვლევითი საქმიანობის, პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებების, პრეზენტაციების, ინტეგრირებული აქტივობებისა და სხვა მრავალფეროვანი სასწავლო გამოცდილების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და კომპეტენციების მრავალმხრივ შეფასებას.

სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო კომპონენტები — „JBS Wellbeing“, „სპორტი და ჯანსაღი ცხოვრება“, STEAM მიმართულება, არაფორმალური განათლების აქტივობები და მოსწავლის ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი — ქმნის დამატებით საგანმანათლებლო კონტექსტებს, რომლებშიც მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება გამოავლინოს არა მხოლოდ აკადემიური მიღწევები, არამედ ლიდერული, სოციალური, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარები. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასებას სხვადასხვა სასწავლო და არასასწავლო გარემოში.

ამასთან, დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური პროგრესის, ინდივიდუალური საჭიროებების, დასწრების, არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობის, პიროვნული და სოციალური განვითარების, მშობლებთან თანამშრომლობისა და სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის სისტემური მონიტორინგი. აღნიშნული ადასტურებს, რომ მოსწავლის შეფასება ეფუძნება არა მხოლოდ სასწავლო შედეგებს, არამედ მის მრავალმხრივ განვითარებასა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას.

ექსპერტთა სეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიღწევების შეფასებას მრავალფეროვან საგანმანათლებლო კონტექსტში და ქმნის მისი აკადემიური, სოციალური, ემოციური და პიროვნული განვითარების კომპლექსური შეფასების საფუძველს.

2.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, მათ შორის კითხვარების, ინტერვიუს, დაკვირვების, დოკუმენტაციის ანალიზის, უკუკავშირისა და აკადემიური შედეგების შესწავლის გზით. წარმოდგენილია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) შემუშავებული ანონიმური კითხვარები, რომლებიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და იძლევა რაოდენობრივი და თვისებრივი

მონაცემების მიღების შესაძლებლობას. კითხვარები აფასებს სასწავლო პროცესის, სასწავლო გარემოს, უსაფრთხოების, შეფასების სისტემის, სასკოლო რესურსების, კომუნიკაციის, პროფესიული განვითარების, მხარდაჭერისა და კმაყოფილების საკითხებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესში მრავალმხრივი ინფორმაციის მოპოვებას. მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის, შედეგების შეჯამებისა და მათი საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვის პრინციპს, რაც ქმნის საფუძველს, რომ მიღებული მონაცემები გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ავტორიზაციის ეტაპზე აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული განხორციელების გამოცდილება ჯერ არ გააჩნია, წარმოდგენილი ინსტრუმენტები და მათი ანალიზისათვის განსაზღვრული მიდგომები ადასტურებს სკოლის მზაობას შეფასების პროცესის მტკიცებულებებზე დაფუძნებული წარმართვისათვის.

2.3.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგირი დოკუმენტები განსაზღვრიავს შეფასების პროცესის განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. კერძოდ, შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც აკადემიური შედეგები, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, სასწავლო გარემოს ხარისხი, მონაწილე მხარეთა კმაყოფილება, უსაფრთხოების, კომუნიკაციის, რესურსების, შეფასების სისტემის, პროფესიული განვითარების, არაფორმალური განათლებისა და სასკოლო სერვისების ეფექტიანობასთან დაკავშირებული მონაცემები. აღნიშნული გარემოებები ასახულია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) შემუშავებულ კითხვარებში, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებში, რაც უზრუნველყოფს შეფასების მრავალგანზომილებიან და ობიექტურ ხასიათს.

ამასთან, შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მიღებული მონაცემების ურთიერთშეჯერებასა და ანალიზს სხვადასხვა წყაროდან, რაც ქმნის საფუძველს გადაწყვეტილებების არა ერთ ფაქტორზე, არამედ მრავალმხრივ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიღებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს და შეფასების სისტემის პრაქტიკული შედეგების შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია, წარმოდგენილი მექანიზმები ადასტურებს სკოლის მზაობას შეფასების პროცესის განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

2.3.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/10-ით დამტკიცებული -კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- კმაყოფილების კვლევის კითხვარები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესისა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციების ფორმირების სისტემური მექანიზმი.

დოკუმენტებით განსაზღვრულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული მონაცემები, მათ შორის სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები, შეფასების ვერიფიკაციის მიგნებები, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი, კითხვარების ანალიზი და სხვა მტკიცებულებები ექვემდებარება სისტემურ ანალიზს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება კურიკულუმის განვითარების მიმართულებები, მხარდაჭერის საჭიროებები, რეკომენდაციები, პასუხისმგებელი პირები და შემდგომი გასატარებელი ღონისძიებები.

ამასთან, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების (PDCA) პრინციპს, რაც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენებას კურიკულუმის სრულყოფის, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს, რომ სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისად, კურიკულუმის განვითარებისათვის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის პრაქტიკაში ფორმირების შეფასება შეუძლებელია. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას შექმნილი აქვს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებასა და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათ გამოყენებას.

2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

საავტორიზაციო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესის, სტრატეგიული დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის უწყვეტი განვითარების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენებას.

წარმოდგენილი დოკუმენტებით განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის განვითარება წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რომლის ფარგლებში მონიტორინგის, შეფასების, ვერიფიკაციის, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის, კითხვარების ანალიზისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე ხორციელდება კურიკულუმის ეფექტიანობის შეფასება, განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული რეკომენდაციები საფუძვლად ედება კურიკულუმის შემდგომ გადახედვასა და სრულყოფას, რაც უზრუნველყოფს მის მუდმივ განვითარებას და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებთან შესაბამისობას.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია აგებულია უწყვეტი გაუმჯობესების (PDCA) პრინციპზე, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების ურთიერთდაკავშირებულ პროცესს. აღნიშნული ქმნის წინაპირობას, რომ კურიკულუმის ყოველი მომდევნო რედაქცია დაეფუძნოს პრაქტიკაში დაგროვილ გამოცდილებასა და შეფასების შედეგებს.

ვინაიდან შეფასების ეტაპისთვის სკოლას ჯერ არ დაუწყია საგანმანათლებლო საქმიანობა, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის პრაქტიკაში არსებობა. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ

სკოლას შექმნილი აქვს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კურიკულუმის სისტემურ განვითარებას მონიტორინგის, შეფასების, უკუკავშირისა და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე.
ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეფასების ეტაპისთვის სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის უწყვეტი განვითარების სათანადო ორგანიზაციული და პროცედურული საფუძვლები.

2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/10-ით დამტკიცებული -კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია
- შპს ჯეიბიეს სკოლის დირექტორის ბრ. N2/11-ით დამტკიცებული -შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი 10.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

Maka Tukvadze 01019028119

Digitally signed by Maka Tukvadze
Date: 2026.08.10 15:13:29

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მაკა ტუკვაძე --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი-**თამარ მიდელაშვილი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი-**ინგა ალავერდაშვილი**

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი- **ნინო თედორაძე**

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი-**ნონა ბეროშვილი**

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი-**ხათუნა კალმახელიძე**

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი-**მაკა აფრიამაშვილი**

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი -**მაია მენაბდე**

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი-**ნატო გერგაია**

სპორტის საგნობრივი ექსპერტი-**ქეთევან ქობალია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი-**ლანა კუჭავა**